





პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 41-ე წელი № 279 (11890) | პარასკევი, 2 დეკემბერი, 1960 წ. | ფასი 20 კაპ.


# საინფორმაციო ცნობა
## კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა თათბირის შესახებ

1960 წლის ნოემბერში მოსკოვში გაიმართა კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა თათბირი, რომლებიც მონაწილეობდნენ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 43 წლისთავის დღესასწაულში.

თათბირში მონაწილეობა მიიღეს 81 პარტიის: ავსტრალიის კომუნისტური პარტიის, ავსტრიის კომუნისტური პარტიის, ალბანეთის შრომის პარტიის, ალჟირის კომუნისტური პარტიის, არგენტინის კომუნისტური პარტიის, ბელგიის კომუნისტური პარტიის, ბირმის კომუნისტური პარტიის, ბულგარეთის კომუნისტური პარტიის, ბოლივიის კომუნისტური პარტიის, ბრაზილიის კომუნისტური პარტიის, დიდი ბრიტანეთის კომუნისტური პარტიის, უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის, ვენესუელის კომუნისტური პარტიის, ვიეტნამის მშრომელთა პარტიის, ჰაიტის სახალხო ერთიანობის პარტიის, გვადელუპის კომუნისტური პარტიის, გვატემალის შრომის პარტიის, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის, გერმანიის კომუნისტური პარტიის, ჰონდურასის კომუნისტური პარტიის, საბერძნეთის კომუნისტური პარტიის, დანიის კომუნისტური პარტიის, დომინგოს სახალხო-სოციალისტური პარტიის, ისრაელის კომუნისტური პარტიის, ინდოეთის კომუნისტური პარტიის, ინდონეზიის კომუნისტური პარტიის, იორდანიის კომუნისტური პარტიის, ერაყის კომუნისტური პარტიის, ირანის სახალხო პარტიის, ირლანდიის მუშათა ლიგის, ჩრდილოეთ ირლანდიის კომუნისტური პარტიის, ესპანეთის კომუნისტური პარტიის, იტალიის კომუნისტური პარტიის, კანადის კომუნისტური პარტიის, კვიპროსის მშრომელი ხალხის პროგრესული პარტიის, ჩინეთის კომუნისტური პარტიის, კოლუმბიის კომუნისტური პარტიის, კორეის შრომის პარტიის, კოსტა-რიკის პარტია სახალხო ავანგარდის, კუბის სახალხო-სოციალისტური პარტიის, ლიბანის კომუნისტური პარტიის. ლუქსემბურგის კომუნისტური პარტიის, მალაიის კომუნისტური პარტიის, მაროკოს კომუნისტური პარტიის, მარტინიკის კომუნისტური პარტიის, მექსიკის კომუნისტური პარტიის, მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის, ნეპალის კომუნისტური პარტიის, ნიდერლანდის კომუნისტური პარტიის, ნიკარაგუას სოციალისტური პარტიის, ახალი ზელანდიის კომუნისტური პარტიის, ნორვეგიის კომუნისტური პარტიის, პანამის სახალხო პარტიის, პარაგვაის კომუნისტური პარტიის, პერუს კომუნისტური პარტიის, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის, პორტუგალიის კომუნისტური პარტიის, რეუნიონის კომუნისტური პარტიის, რუმინეთის მუშათა პარტიის, სალვადორის კომუნისტური პარტიის, სან-მარინოს კომუნისტური პარტიის, სირიის კომუნისტური პარტიის, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის, სუდანის კომუნისტური პარტიის, ტაილანდის კომუნისტური პარტიის, ტუნისის კომუნისტური პარტიის, თურქეთის კომუნისტური პარტიის, ურუგვაის კომუნისტური პარტიის, ფინეთის კომუნისტური პარტიის, საფრანგეთის კომუნისტური პარტიის, ცეილონის კომუნისტური პარტიის, ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის, ჩილის კომუნისტური პარტიის, შვეიცარიის შრომის პარტიის, შვეციის კომუნისტური პარტიის, ეკვადორის კომუნისტური პარტიის, სამხრეთ აფრიკის კავშირის კომუნისტური პარტიის, იაპონიის კომუნისტური პარტიისა და სხვა პარტიების დელეგაციებმა.

თათბირის მონაწილეებმა გაუზიარეს ერთმანეთს გამოცდილება და გაეცნენ ერთიმეორის შეხედულებებსა და პოზიციებს, განიხილეს აქტუალური პრობლემები თანამედროვე საერთაშორისო განვითარებისა და კომუნისტური მოძრაობისა და საერთო მიზნების — მშვიდობის, დემოკრატიის, ეროვნული დამოუკიდებლობისა და სოციალიზმისათვის ერთობლივი ბრძოლის ინტერესებისათვის და ერთხმად მიიღეს კომუნისტური და მუშათა პარტიების განცხადება, აგრეთვე მიმართვა მთელი მსოფლიოს ხალხებისადმი.

ყველა საკითხის განხილვა მიმდინარეობდა მარქსიზმ-ლენინიზმის, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის ურყევი პრინციპების საფუძველზე ძმური მეგობრობის ატმოსფეროში.

# მეგობრობის მიტინგი კრემლში

მოსკოვი, 1 დეკემბერი. (საქდესი). დღეს კრემლის დიდ სასახლეში გაიმართა მიტინგი, რომელიც მიეძღვნა საბჭოთა კავშირისა და კამბოჯის ხალხთა მეგობრობას.

დარბაზში, სადაც მიტინგი მიმდინარეობდა, შეიკრიბნენ მუშები, მეცნიერები, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეები, ახალგაზრდობა, საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები. დამსწრეთა შორის არიან სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების დეპუტატები, მინისტრები, უცხოელი დიპლომატები, საბჭოთა და საზღვარგარეთელი ჟურნალისტები.

დარბაზში მქუხარე ტაში გაისმა, როცა პრეზიდიუმში შემოვიდნენ კამბოჯის სახელმწიფოს მეთაური პრინცი ნოროდომ სიანუკი და კამბოჯის სხვა სახელმწიფო მოღვაწეები, აგრეთვე ამხანაგები ა. ბ. არისტოვი, ლ. ი. ბრეჟნევი, ნ. გ. იგნატოვი, ა. ნ. კოსიგინი, ო. ვ. კუუსინენი, ა. ი. მიქოიანი, ნ. ა. მუხიტდინოვი, დ. ს. პოლიანსკი, მ. ა. სუსლოვი, ე. ა. ფურცევა, ნ. ს. ხრუშჩოვი, პ. ნ. პოსპელოვი.

მიტინგი გახსნა მოსკოვის საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ნ. ი. ბობროვნიკოვმა.

მიტინგზე სიტყვები წარმოთქვეს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის აზიის ხალხთა ინსტიტუტის დირექტორმა ბ. გ. გაფუროვმა, ექიმმა, სსრ კავშირის წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოებათა კავშირის აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილემ ზ. ს. მაიოროვამ, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ლ. ი. ბრეჟნევმა, კამბოჯის სახელმწიფოს მეთაურმა პრინცმა ნოროდომ სიანუკმა.

# პრინცი ნოროდომ სიანუკი მოსკოვში

30 ნოემბერს დილით მოსკოვში მყოფი კამბოჯის სახელმწიფოს მეთაური პრინცი ნოროდომ სიანუკი და მისი თანმხლები სხვა კამბოჯელი სტუმრები იყვნენ ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის მავზოლეუმში და გვირგვინით შეამკეს.

ამავე დღეს ბანდუნგის კონფერენციის მონაწილე ქვეყნების ელჩებმა, რომლებიც აკრედიტებული არიან საბჭოთა კავშირში, გამართეს საუზმე კამბოჯის სახელმწიფოს მეთაურის პატივსაცემად.

საბჭოთა კავშირის მხრივ საუზმეზე იყვნენ ამხანაგები ლ. ი. ბრეჟნევი, ნ. ა. მუხიტდინოვი, ე. ა. ფურცევა და სხვები.

საუზმის დროს სიტყვები წარმოთქვეს ინდოეთის რესპუბლიკის ელჩმა სსრ კავშირში კ. პ. შ. მენონმა, პრინცმა ნოროდომ სიანუკმა, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ელჩმა სსრ კავშირში ლიუ სიაომ და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ლ. ი. ბრეჟნევმა.

პრინცმა ნოროდომ სიანუკმა და სხვა კამბოჯელმა სახელმწიფო მოღვაწეებმა დაათვალიერეს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენა. გამოფენის დამთვალიერებლები და მუშაკები გულთბილად მიესალმნენ სტუმრებს. კამბოჯის სახელმწიფოს მეთაურმა და მისმა თანმხლებმა პირებმა შემდეგ დაათვალიერეს მოსკოვის № 57 საქალაქო საავადმყოფო.

კამბოჯის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე და დაგეგმვის მინისტრი ნიეკ ტიულონგი და დაგეგმვის სამინისტროს გენერალური ინსპექტორი სონ ვენსაი, რომლებიც ნოროდომ სიანუკთან ერთად ჩამოვიდნენ მოსკოვში, 30 ნოემბერს ეწვივნენ საგარეო ვაჭრობის სამინისტროს და ესაუბრნენ მინისტრ ნ. ს. პატოლიჩევს. მეგობრული საუბრის დროს განხილული იყო საბჭოთა კავშირსა და კამბოჯას შორის ვაჭრობის განვითარების ზოგიერთი საკითხი. (საქდესი).

# ვ. გომულკა და ი. ცირანკევიჩი მოსკოვიდან გაემგზავრნენ

მოსკოვი, 1 დეკემბერი. (საქდესი). დღეს მოსკოვიდან სამშობლოში გაემგზავრნენ პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის მეთაური — პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ვ. გომულკა, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ი. ცირანკევიჩი და პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი ა. ვერბლანი, რომლებიც შედიოდნენ პარტიისა და მთავრობის დელეგაციაში, რომელიც სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის მოწვევით მოსკოვში იმყოფებოდა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 43-ე წლისთავის ზეიმზე.

# მფრინავ კ. კოკინაკის ახალი რეკორდი

მოსკოვი, 30 ნოემბერი. (საქდესი). საათში 2.148,3 კილომეტრს საშუალო სიჩქარეს მიაღწია ერთი ტურბორეაქტულძრავიანი „ე-66" თვითმფრინავით მფრინავმა კონსტანტინე კოკინაკიმ. მან მოახდინა ფრენა ასკილომეტრიანი შეკრული მარშრუტით.

ფრენა მიმდინარეობდა 13,5 ათასი მეტრ სიმაღლეზე. ფრენის ფაქტიური ტრაექტორიის ცალკეულ მონაკვეთებზე თვითმფრინავის ფრენის სიჩქარე ორჯერ და უფრო მეტად აღემატებოდა ბგერის სიჩქარეს.

ამგვარ მარშრუტზე ფრენის სიჩქარის აქამდე არსებული მსოფლიო აბსოლუტური რეკორდი ეკუთვნოდა საბჭოთა მფრინავს ბორის ადრიანოვს (2.092 კილომეტრი საათში).

მასალები კ. კოკინაკის ფრენის შესახებ ეგზავნება საერთაშორისო საავიაციო ფედერაციას, რათა რეგისტრირებულ იქნას როგორც ასკილომეტრიან შეკრულ მარშრუტზე ფრენის სიჩქარის მსოფლიო აბსოლუტური რეკორდი.

# საქდესის ცნობა

მეცნიერულ-კვლევითი სამუშაოების გეგმის შესაბამისად 1960 წლის 1 დეკემბერს საბჭოთა კავშირში განხორციელდა მესამე კოსმოსური ხომალდის გაშვება დედამიწის თანამგზავრის ორბიტაზე.

კოსმოსური ფრენის პირობებში მედიკურ-ბიოლოგიური კვლევის შესასრულებლად თანამგზავრი ხომალდის კაბინაში იმყოფებიან საცდელი ცხოველები — ძაღლები „პჩოლკა" და „მუშკა". კაბინაში არიან აგრეთვე სხვა ცხოველები, მწერები და მცენარეები.

საცდელ ცხოველებზე დაკვირვება წარმოებს რადიოსატელევიზიო აპარატურისა და ტელემეტრიული სისტემების საშუალებით, რომლებიც დედამიწაზე გადმოსცემენ ცხოველთა მდგომარეობის დამახასიათებელ ობიექტურ ფიზიოლოგიურ მაჩვენებლებს.

მეცნიერულ-საზომი აპარატურის დახმარებით, რომელიც დადგმულია თანამგზავრ ხომალდზე, გათვალისწინებულია განხორციელდეს მთელი რიგი მეცნიერული გამოკვლევები კოსმოსური სივრცის ფიზიკის დარგში.

მესამე საბჭოთა თანამგზავრი ხომალდის წონა, გარდა მატარებელი რაკეტის უკანასკნელი საფეხურისა, შეადგენს 4.563 კილოგრამს. მისი მოძრაობა წარმოებს ელიფსური ორბიტით. მიღებული წინასწარი ცნობებით, ორბიტაზე თანამგზავრი ხომალდის მოძრაობის დაწყებითი პერიოდი უდრის 88,6 წუთს, ორბიტის პერიგეისა და აპოგეის სიმაღლეები შეადგენენ დაახლოებით 187,3 და 265 კილომეტრს შესაბამისად. ორბიტის დახრილობა ეკვატორის სიბრტყისადმი 65 გრადუსია.

თანამგზავრ ხომალდზე დადგმულია რადიოგადამცემი „სიგნალი", რომელიც მუშაობს 19,995 მეგაჰერცის სიხშირეზე ცვლადი ხანგრძლივობის სატელეგრაფო გზავნილების რეჟიმით.

ხომალდის აპარატურის კვება ელექტროენერგიით წარმოებს დენის ქიმიური და მზის წყაროებიდან.

არსებული წინასწარი მონაცემების მიხედვით, თანამგზავრ ხომალდზე დადგმული მთელი აპარატურა ნორმალურად მუშაობს.

მიწისზედა რადიოტექნიკური სადგურები რეგულარულ დაკვირვებას აწარმოებენ მესამე საბჭოთა თანამგზავრ ხომალდზე.

• • •

ქვემოთ მოყვანილია იმ ქალაქების სია, რომლებსაც გადაუფრენს თანამგზავრი ხომალდი.

რომი — 13 საათი და 31 წუთი, ლენინგრადი — 13 საათი და 30 წუთი, პარიზი — 15 საათი და 01 წუთი, პეკინი — 15 საათი და 20 წუთი, ლონდონი — 16 საათი და 32 წუთი, ჰანოი — 16 საათი და 55 წუთი, მოსკოვი — 18 საათი და 10 წუთი. (საქდესი).

# ამხანაგები ნ. ს. ხრუშჩოვი, ფ. რ. კოზლოვი და მ. ა. სუსლოვი შეხვდნენ ამხანაგებს ლიუ შაო-ცის, დენ სიაო-პინსა და პინ ჯენს

30 ნოემბერს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვი და სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრები, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნები ამხანაგები ფ. რ. კოზლოვი და მ. ა. სუსლოვი შეხვდნენ სკკპ ცენტრალურ კომიტეტში ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეს ამხ. ლიუ შაო-ცის, ჩინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს ამხ. დენ სიაო-პინს, ჩინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრს ამხ. პინ ჯენს.

შეხვედრის დროს გაიმართა საუბარი, რომელმაც გულითად ამხანაგურ ვითარებაში ჩაიარა.

# ბრძანებულება
## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა
### საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მოწვევის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

მოწვეულ იქნას საქართველოს სსრ მეხუთე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეოთხე სესია 1960 წლის 29 დეკემბერს, ქალაქ თბილისში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. გელდიაშვილი

ქ. თბილისი 1960 წლის 30 ნოემბერი.

# ჩვენი დიდი სამშობლოში

## საირუს იტონი მოსკოვს ჩამოვიდა

მოსკოვი, 30 ნოემბერი, (საქდესი). დღეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან კულტურული ურთიერთობის სახელმწიფო კომიტეტის მოწვევით მოსკოვს ჩამოვიდა ცნობილი ამერიკელი მრეწველი და საზოგადო მოღვაწე „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის" საერთაშორისო ლენინური პრემიის ლაურეატი საირუს იტონი მეუღლითურთ. საირუს იტონი მონაწილეობას მიიღებს ამ დღეებში მოსკოვში მიმდინარე მეცნიერთა VI საერთაშორისო პაგუოშის კონფერენციაში, რომელიც განიხილავს განიარაღებისა და საერთაშორისო უშიშროების პრობლემებს.

## საირუს იტონი: საბჭოთა ხალხის გენიის ახალი დადასტურება

მოსკოვი, 1 დეკემბერი. (საქდესი). ეს ახალი საოცრებაა, რომელსაც მთელი მსოფლიო, უეჭველად, ტაშით დაჯილდოვებს, ეს მეტად ამაღელვებელი სიახლეა, — განუცხადა საირუს იტონმა საქდესის კორესპონდენტს მესამე საბჭოთა კოსმოსური ხომალდის გაშვების გამო.

ჩვენ უკვე შევეჩვიეთ საოცრებებს, რომელთაც საბჭოთა მეცნიერება ახორციელებს, განაგრძო იტონმა. კოსმოსური ხომალდის გაშვება საბჭოთა ხალხის გენიის, მისი უდიდესი შრომისუნარიანობის ახალი დადასტურებაა. ყველა კეთილი ნების ადამიანი მიესალმება თქვენს ამ ახალ მიღწევას.

## მეცნიერთა პაგუოშის კონფერენცია

მოსკოვი, 30 ნოემბერი. (საქდესი). დღეს მუშაობას განაგრძობდა მეცნიერთა VI საერთაშორისო პაგუოშის კონფერენცია. მოსმენილ იქნა მოხსენებანი: პროფესორ ნ. ა. ტალენსკისა (სსრ კავშირი) — „საერთაშორისო უშიშროების სისტემის შექმნის პრობლემები", რ. ლეპორნისა (ამერიკის შეერთებული შტატები) — „საერთაშორისო უშიშროების რაციონალური სისტემის შექმნის გზები", პროფესორ ლ. სონასი (ამერიკის შეერთებული შტატები) — „განიარაღების ეტაპობრივი კონტროლი".

მოხსენებათა გამო გაიმართა კამათი.

## მდგომარეობა კონგოში

პარიზი, 1 დეკემბერი. (საქდესი). როგორც ფრანს პრესის სააგენტოს კორესპონდენტის ცნობიდან ჩანს, იმ ამბავმა, რომ პრემიერ-მინისტრი ლუმუმბა სტენლივილს ჩავა, გამოიწვია ევროპელთა და განსაკუთრებით ბელგიელთა მასობრივი გაქცევა ამ ქალაქიდან.

როგორც ცნობილია, ბელგიელები შეადგენენ სტენლივილში მცხოვრებ 2 ათასი ევროპელის ნახევარზე მეტს. დატოვეს რა კონგო, როცა გამოცხადებულ იქნა დამოუკიდებლობა, ისინი კვლავ დაბრუნდნენ იმ პუტჩის შემდეგ, რომელიც პოლკოვნიკმა მობუტუმ განახორციელა. ბელგიელთა დაბრუნებამ გამოიწვია აღმოსავლეთ პროვინციის მცხოვრებთა დიდი აღშფოთება, რომლებსაც არ სურთ კვლავ მოითმინონ კოლონიზატორთა ჩაგვრა.

„მათ მეტად არ სურთ, რომ ბელგიელები დარჩნენ აღმოსავლეთ პროვინციაში, — იუწყება ფრანს პრესის სააგენტოს კორესპონდენტი: იწყება ახალი მასობრივი წასვლა, და ეს წასვლა საბოლოო და სრული იქნება".




## თანამგზავრები ვერ გავიდნენ ორბიტაზე

ნიუ-იორკი, 1 დეკემბერი. (საქდესი). გუშინ კანავერალის კონცხზე (ფლორიდის შტატი) შეეცადნენ ერთდროულად გაეშვათ ორი თანამგზავრი, ვარაუდობდნენ, რომ ერთი რაკეტის დახმარებით დედამიწის გარშემო ორბიტაზე გაიყვანდნენ ორ თანამგზავრს, რომელთა წონა შესაბამისად 203 და 40 გირვანქა იყო. ცდა წარუმატებელი აღმოჩნდა. გაშვებიდან დაახლოებით ერთი საათის შემდეგ ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის სამინისტრომ გამოაცხადა, რომ თანამგზავრები ვერ გავიდნენ ორბიტაზე.

## მღელვარება არგენტინაში

ნიუ-იორკი, 30 ნოემბერი. (საქდესი). როგორც დეპეშათა სააგენტოები იუწყებიან ბუენოს-აირესიდან, დღეს დილით არგენტინის დიდ ქალაქ როსარიოში, რომელიც 320 კილომეტრით დაშორებულია დედაქალაქს, დაიწყო აჯანყება. შაშხანებითა და ტყვიამფრქვევებით შეიარაღებულ სამოქალაქო პირთა ჯგუფი თავს დაესხა მე-11 ქვეითი პოლკის შენობას. აჯანყებულებმა ხელთ იგდეს ყარაულის შენობა და უმცროსი ოფიცრების დახმარებით, რომლებიც მათ შეუერთდნენ, რამდენიმე საათის განმავლობაში იგერიებდნენ პოლკის იერიშებს, რომელიც ცდილობდა ხელში ჩაეგდო შენობა.

სროლა გაგრძელდა 4 საათს, რის შემდეგ აჯანყებულებმა უკან დაიხიეს და მიიმალნენ. აჯანყება ჩააქრეს ჯერ კიდევ მანამდე, სანამ როსარიოში მოვიდოდნენ მაშველი ძალები ახლომდებარე ქალაქებიდან.

არგენტინის არმიის სახმელეთო ძალების მთავარსარდლის გენერალ ტორანსო მონტეროს კომუნიკეში ნათქვამია, რომ როსარიოს ამბების დროს მოკლულია ოთხი კაცი. დაჭრილთა რიცხვი არ არის აღნიშნული.

როსარიოში მომხდარ აჯანყებასთან თითქმის ერთდროულად შეიარაღებულ სამოქალაქო პირთა ჯგუფმა ქალაქებში ტარტაგალსა და ვესპუსიოში, რომლებიც სალტის პროვინციაშია, ხელთ იგდო სახელმწიფოს კუთვნილი ნავთობის საწარმოები.

ცნობები სალტის პროვინციაში არსებული მდგომარეობის შესახებ ჯერ არ არის მიღებული.




## ეს არ იყო წინათ

# იქ, სადაც მორი ქაღალდად იქცევა

ბევრმა როდი იცის თუ როგორ მზადდება ქაღალდი. ძნელია დაუჯერო ნათქვამს, რომ სვანეთის მთებიდან ჩამოტანილი ასწლოვანი სოჭის მორები, რომლებსაც ხელს კი არა, თოკსაც ვერ შემოაწვდენ, წარმოებაში გაივლის სხვადასხვა ფიზიკური და ქიმიური დამუშავების პროცესებს და მათგან მივიღებთ სიფრიფანა ქაღალდს. დიახ, სწორედ ამ ქაღალდს, რომელსაც თვითეული ადამიანი კარგად იცნობს. ყველა ეს რთული პროცესი ენგურის ცელულოზისა და ქაღალდის კომბინატში მიმდინარეობს...

კომბინატის დირექტორი ბესარიონ ჯანაშია საამქროებისაკენ გაგვიძღვა. გზადაგზა ბესარიონი გვიყვება წარმოების ისტორიას, გვიხსნის წარმოების პროცესებს.

კომბინატის საწარმოებს, — გვეუბნება იგი, — ქ. ზუგდიდის მარცხენა ნაწილში რამდენიმე ათეული ჰექტარი უჭირავს. აქ დღედაღამ არ წყდება რთული მანქანების ხმაური. 20 წელიწადზე მეტი დრო გავიდა მას შემდეგ, რაც ქართველმა მექაღალდეებმა აითვისეს რთული ტექნიკა, რომლის საშუალებითაც უზარმაზარ მორებს ჯერ ნაფოტებად აქცევენ, შემდეგ თხიერ მასად — ცელულოზად, ხოლო ამ უკანასკნელს ეს რთული მანქანები გადააქცევენ ქაღალდის ფურცლებად. ყველა ეს პროცესი, რომლებსაც რამდენიმე ათეული დამოუკიდებლად მომქმედი რთული დანადგარი ასრულებს, ერთიან უწყვეტ ტექნოლოგიურ ნაკადს ქმნის. საკმარისია ერთ-ერთი აგრეგატი გაჩერდეს, ან რომელიმე მანქანამ ფუჭი მოძრაობა გააკეთოს, რომ დაირღვევა რიტმი, შეწყდება მთელი პროცესი.

კომბინატში ასეთი შეფერხებები ამ უკანასკნელ წლებში იშვიათი მოვლენაა. დახელოვნდნენ ქართველი მექაღალდეები, მათს გონებას, სწრაფ თვალს, მაგარ მარჯვენას დაემორჩილნენ ეს უზარმაზარი აგრეგატები და მათი სურვილის მიხედვით მუშაობენ.

კომბინატის ინჟინერ-ტექნიკოსების მიერ სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტების დახმარებით განხორციელებულია არსებული დანადგარების მოდერნიზაცია და რეკონსტრუქცია, რითაც საწარმომ გაადიდა პროდუქციის გამოშვება, აამაღლა მისი ხარისხი.

საწარმოში ერთ-ერთ ვიწრო ადგილს წარმოადგენდა ორთქლით მომარაგება. ექვსი ორთქლის ქვაბი, რომლებიც ქვანახშირზე მუშაობდა, წარმოებას ვერ აკმაყოფილებდა ორთქლით. ეს იწვევდა დიდ მოცდენებს, უარყოფითად მოქმედებდა ქაღალდის ხარისხზე. ადგილობრივი ძალებით შედგენილ იქნა თბოსადგურის რეკონსტრუქციის პროექტი. ინჟინერ ხ. ჯაბუასა და მექანიკოს ლ. ზვილინის ხელმძღვანელობით რეკონსტრუქცია გაუკეთდა ყველა ორთქლის ქვაბს და გადაყვანილ იქნა მაზუთის წვაზე. ამჟამად კომბინატი უზრუნველყოფილია ორთქლით. ერთი მ. გ. კალორიის ღირებულება 11 მანეთით შემცირდა და წარმოებამ 1959 წელს 1.333 ათასი მანეთი ეკონომია მიიღო. წელს ეკონომია კიდევ უფრო მეტია, ხოლო 1961 წელს 2,8 მილიონ მანეთს მიაღწევს.

ცელულოზის გამომუშავებისა და მისი ხარისხის გაუმჯობესებისათვის აუცილებელია გარკვეული სიმაგრის გოგირდმჟავა. წარმოება მის ნაკლებობას განიცდიდა. ეს გამოწვეული იყო იმით, რომ გოგირდოვანი გაზის გამწმენდ აპარატურას სადენი მილები არ უვარგოდა, ტყვიისაგან იყო გაკეთებული და ხშირად ზიანდებოდა. წარმოებამ საკუთარი ძალებით შეცვალა ისინი ვინიპლასტის მილებით. ეს მილები უფრო გამძლე აღმოჩნდა. გაიზარდა მჟავას სიმაგრე. ამ ღონისძიების განხორციელებით წარმოებამ 250 ათასი მანეთი ეკონომია მიიღო.

ცელულოზის გამომუშავების გადიდების უზრუნველსაყოფად განხორციელდა მთელი რიგი ტექნიკური სიახლენი. უკანასკნელ წლებში მთლიანად განახლდა გამწმენდი დანადგარები. კომბინატის მთავარი ინჟინრის ი. კუხალაშვილის ინიციატივით მწყობრში ჩადგა ცელულოზის პირველადი დახარისხების, შემდეგ მიღებული ნარჩენების გადასამუშავებელი დანადგარი. აქ აითვისეს აგრეთვე მურყნის (თხმელის) მერქნისაგან ცელულოზის დამზადება. მურყნის ქერქის ხელით გაცლა მეტად შრომატევადი გამოდგა, დაზგები, რომლებიც კომბინატს ჰქონდა, ქერქის გაცლის დროს დიდ დანაკარგებს იძლეოდა. 1959 წელს დაიდგა ახალი ტიპის დაზგები, ინჟინერ გ. ჯანაშიასა და ოსტატ ი. ყორშიას წინადადებით განხორციელდა ამ დაზგებზე მორების მიწოდების მექანიზაცია. ამ ღონისძიებით გაიზარდა დაზგის წარმადობა, მნიშვნელოვნად შემცირდა დაზგის მომსახურე პერსონალის რაოდენობა სხვა სამუშაოზე გამოსაყენებლად. წლიურმა ეკონომიამ 305 ათასი მანეთი შეადგინა.

წარმოებაში დიდი მუშაობაა გაწეული ბოჭკოს დანაკარგების შესამცირებლად. დადგმულია ვაკუუმფილტრები, ბოჭკოს დამჭერი დანადგარები. თუ წინათ ბოჭკოს დანაკარგებით წარმოება 1,2 მილიონ მანეთს ზარალობდა, ახლა ეს ზარალი მთლიანად ლიკვიდირებულია.

საწარმოო-ტექნიკური განყოფილების (უფროსი შ. ჯანჯღავა) პროექტით გადაკეთდა ქაღალდის მკეთებელი მანქანები, ყველა საჭირო ნაწილი დამზადებულ იქნა კომბინატის მექანიკურ სახელოსნოში. რეკონსტრუქციის შედეგად მანქანების წარმადობა გაიზარდა 14 პროცენტით, მკვეთრად გაუმჯობესდა ქაღალდის ხარისხი.

მიმდინარე წლის პირველ ნახევარში კომბინატში აშენდა და მწყობრში ჩადგა საფუარის ქარხანა. თუ ამდენ ხანს ცელულოზის ხარშვის პროცესში წარმოქმნილი ნარჩენები მდინარე ენგურში იღვრებოდა, აბინძურებდა მას, სპობდა თევზს, ახლა ამ ნარჩენების გადამუშავება წარმოებს საფუარის ქარხანაში და ვღებთ ძვირფას საკვებს მეცხოველობისათვის.

ყველა ამ ღონისძიების განხორციელებით საწარმოს კოლექტივმა გარკვეულ წარმატებებს მიაღწია. 1959 წელს გამოშვებულ იქნა 2.900 ტონა ზეგეგმითი ქაღალდი, ტონა ცელულოზის თვითღირებულება შემცირებულ იქნა 214 მანეთით, რითაც წარმოებამ 3 მილიონ მანეთზე მეტი მოგება მიიღო. ასევე წარმატებით შესრულდა მიმდინარე წლის ათი თვის დავალება. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 4,5 პროცენტით გაიზარდა ქაღალდის გამოშვება, ხოლო საერთო პროდუქციისა — 8,8 პროცენტით, შრომის ნაყოფიერება ამაღლდა 6,4 პროცენტით. შვიდწლედის გავლილ პერიოდში საწარმოს კოლექტივმა მკვეთრად გააუმჯობესა ეკონომიური მაჩვენებლები. თუ ორი წლის წინათ წარმოებას 27 მილიონი მანეთი დოტაცია ეძლეოდა, მიმდინარე წლის სახელმწიფოს ეს დახმარება შემცირებულ იქნა 16 მილიონ მანეთამდე.

წარმოების კოლექტივს ერთსულოვნად აქვს გადაწყვეტილი მოკლე დროში რენტაბელური გახადოს წარმოება, იმუშაოს უდოტაციოდ, სახელმწიფოს მისცეს ზეგეგმითი მოგება.

წარმოების რენტაბელობის საკითხს წყვეტს ცელულოზის წარმოებისათვის იაფი ნედლეულის ახალი სახეების გამონახვა და მათი ათვისება. კომბინატში ცელულოზის წარმოებისათვის ნედლეულის ძირითად ბაზას წარმოადგენს სვანეთის სოჭი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ ხისაგან ცელულოზის დამზადებას საბჭოთა კავშირში აწარმოებს მხოლოდ ენგურის ცელულოზისა და ქაღალდის კომბინატი. სოჭის მერქნისგან ცელულოზის გამოსავლიანობა 27 პროცენტით ნაკლებია, ვიდრე ქაღალდის სხვა საწარმოებში ნაძვის მერქნისაგან.

უკვე მესამე წელია კომბინატში მიმდინარეობს სამეცნიერო-საკვლევი მუშაობა ცელულოზის წარმოებისათვის უფრო იაფი, გამოსავლიანობით უკეთესი ნედლეულის ახალი სახეების გამოსანახავად. ასეთ ნედლეულს წარმოადგენს ფოთლოვანი ჯიში — მურყანი. ამ ნედლეულის გამოყენება წარმოებაში დაიწყეს 1957 წელს. დღეისათვის ცელულოზის ხარშვაში მურყანის ხვედრითი წონა 35 პროცენტს აღწევს. საწარმოს ამ ახალი ნედლეულის გამოყენებით საშუალება მიეცა 1 მანეთ სასაქონლო პროდუქციაზე 12,9 კაპიკით შეემცირებინა დანახარჯები, რაც წლიურად 3,8 მილიონ მანეთს შეადგენს.

ქიევისა და თბილისის ქაღალდის მრეწველობის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტების მუშაკების დახმარებით კომბინატში შესრულდა საცდელი სამუშაოები ერთწლიანი ლერწმისაგან ცელულოზის მისაღებად. ეს პირველი ცდაა საბჭოთა კავშირში. ლერწმის დამუშავებისათვის ადგილზე დამზადდა სპეციალური მოწყობილობა. ცდებმა დადებითი შედეგი გამოავლინა. ლერწმის ერთწლიანი ხისაგან მიღებულ იქნა მაღალი ხარისხის თეთრი საწერი ქაღალდი. განზრახულია უახლოეს ხანში წარმოებაში ფართოდ დანერგონ ლერწმისაგან ქაღალდის მიღება. ეს მნიშვნელოვნად შეამცირებს პროდუქციის თვითღირებულებას და დიდი რაოდენობით გამოათავისუფლებს ხე-ტყეს ცელულოზის წარმოებიდან.

იაფი ნედლეულის ბაზის შექმნისათვის გადაწყვეტილია მოკლე დროში ლერწმი გაშენდეს 2.000 ჰექტარზე. საცდელი მუშაობის ჩატარებისათვის ლერწმი უკვე გაშენებულია 10 ჰექტარზე.

კომბინატის ეკონომიური მაჩვენებლების გაუმჯობესების საქმეში მეტად დიდ როლს ასრულებს ფართო მოხმარების საგნების საამქრო. აქ უკვე აითვისეს სახის პროდუქციის წარმოება — სასკოლო რვეულები, ალბომები, ექსლ[illegible]რები, სხვადასხვა სახის უბის წიგნაკები, წლის ბოლომდე გათვალისწინებულია კიდევ აითვისონ 8 სახის პროდუქციის წარმოება, როგორიც არის წიგნაკი „ჩემი ბიბლიოთეკა“, ნოტებისა და სიმწიფის ატესტატების გარეკანები და სხვ.

საამქრო ყოველწლიურად დიდი გადაჭარბებით ასრულებს პროდუქციის გამოშვების გეგმას. აქ მთავარი ის არის, რომ ფართო მოხმარების მთელი რიგი პროდუქცია მზადდება ქაღალდის ნარჩენებიდან, რაც დიდ ეკონომიას აძლევს საწარმოს. მიმდინარე წლის მარტო ათ თვეში აქ დაზოგილია ნახევარ მილიონ მანეთზე მეტი.

1957 წლიდან კომბინატი შეუდგა ქაღალდის ნარჩენების გადამუშავებას. ეს წარმოებას დიდ ეკონომიურ ეფექტს აძლევს, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ დღემდე არ მოხერხდა მთელი ნარჩენების გადამუშავება იმის გამო, რომ არა აქვთ სათანადო დანადგარები. ნაკლებად ჩანს თვით კომბინატის ხელმძღვანელობის ინიციატივა ამ სასარგებლო საქმის წინწაწევისათვის.

კომბინატის კოლექტივი ცუდად როდი იბრძვის იმისათვის, რომ გაადიდოს სამშობლოსათვის მეტად საჭირო ქაღალდის წარმოება, მაგრამ მკითხველმა, განსაკუთრებით გამომცემლობებისა და პოლიგრაფიული მრეწველობის მუშაკებმა, იციან რომ კომბინატის მიერ გამოშვებული ქაღალდის ხარისხი ჯერ კიდევ ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნილებას, გადამუშავების დროს აქვს დიდი დანაკარგები.

როდესაც ამ საკითხზე ლაპარაკი ჩამოვუგდეთ კომბინატის დირექტორს ბ. ჯანაშიას და პარტიული კომიტეტის მდივანს ა. მეუნარგიას, მათ წარმოების ნაკლოვან მხარეებზე გულახდილად გვითხრეს ყველაფერი.

აი რა გვითხრა კომბინატის დირექტორმა ბ. ჯანაშიამ:

— მომხმარებლებისაგან მოგვდის რეკლამაციები. ისინი ჩივიან, რომ ქაღალდის სიმკვრივე არათანაბარია, სუსტია წებოვნება, რულონების შიგნით არის ხარვეზები, რის გამო გადამუშავების დროს დიდი დანაკარგებია. მომხმარებელთა ეს საჩივრები სავსებით სწორია. ჩვენ ბევრი რამ გავაკეთეთ ქაღალდის ხარისხის გასაუმჯობესებლად, მაგრამ ჯერ კიდევ ვერ მივაღწიეთ იმას, რომ ქაღალდი პირველი ხარისხისა იყოს. ისიც უნდა დავძინო, რომ ჩვენი ერთი კვადრატული მეტრი ქაღალდის წონა გაცილებით მეტია სხვა ფაბრიკების ქაღალდის წონასთან შედარებით. ვერ ვიტყვით, რომ ყველაფერი ეს ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზებით ხდებოდეს, მაგრამ არის სხვა მიზეზებიც.

კომბინატში ჯერ კიდევ ხშირია შემთხვევები ტექნოლოგიური რეჟიმის დარღვევისა, რაც აუარესებს ქაღალდის ხარისხს და იწვევს ბოჭკოს გადახარჯვას, აუარესებს კომბინატის ეკონომიურ მაჩვენებლებს. ამაში დამნაშავენი არიან ჩვენი სპეციალისტებიც, მაგრამ ეს ძირითადად გამოწვეულია იმით, რომ კომბინატს ჯერ კიდევ არა აქვს სათანადო ტექნიკური ბაზა. გვაკლია მასის გამწმენდი მოწყობილობა, საზომი და საკონტროლო ხელსაწყოები, სხვადასხვა აპარატურა. ამის შესახებ მივმართეთ საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს. ჩვენი მოთხოვნა განიხილეს, მიიღეს სათანადო დადგენილებაც, მაგრამ დღემდე მიღებული გვაქვს მოთხოვნის მხოლოდ 10 პროცენტი.

ნათქვამია, შუბი ხალთაში არ დაიმალებაო და ამ უზარმაზარ მორებს როგორ დავმალავდით, რომ არ დაგენახათ. აქ ყველაზე ცუდი მდგომარეობა გვაქვს, ყველაფერი ცისქვეშ კეთდება, დატვირთვა-გადმოტვირთვა, მერქანზე ქერქის გაცლა და მთელი რიგი სხვა სამუშაოები [illegible] ლად.

პირველმა ცვლამ მუშაობა დაამთავრა. ჩვენც დავამთავრეთ მასალების აღება და გავყურებთ კომბინატის უზარმაზარ კორპუსებს, გვაგონდება რთული პროცესები, გვინდა წარმოვიდგინოთ ისინი, მტკიცედ აღვიბეჭდოთ მეხსიერებაში. გავცქერით და ვხედავთ ავტოკოლონას, რომელსაც მოაქვს სვანეთის მთებიდან დაცურებული ასწლოვანი სოჭის მორები. ბოლო კორპუსის გვერდით ჩანს ქაღალდის რულონებით დატვირთული ვაგონები, რომლებსაც აწერია თბილისი, ერევანი, ბაქო, კიევი და სხვ. უკვირდებ, და ნახულისაც აღარ გჯერა, როგორ აყვავდა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ორმოცი წლის მანძილზე რესპუბლიკის სახალხო მეურნეობა.

ორმოცი წლის წინათ ქართველ კაცს წარმოდგენაც არ შეეძლო იმის შესახებ, რომ უზარმაზარი მორები შეიძლება გადაიქცეს ქაღალდის თხელ ფურცლებად.

**ზ. ჯამასპიშვილი,**
**გ. ნოდია,**
„კომუნისტის“ სპეც. კორ.

* * *





**სურათზე:** ფართო მოხმარების საამქროს მოწინავე მუშები ნოე ფარცვანია (ზემოთ) და იზოლდა ადამია. ფოტო ბ. სოკოლოვისა.

# პატარა ქარხნის დიდი მისწრაფება

**თერჯოლა.** (საქ. კორ.). კედლისა და იატაკის ფილების დამამზადებელი ქარხნის პროდუქცია განთქმულია ჩვენი რესპუბლიკის გარეთაც. საწარმოს კოლექტივი (დირექტორი ი. მხეიძე) წარმატებით მუშაობს. მან [illegible]

წინათ საქართველოში რუსეთისა და უკრაინის სხვადასხვა ოლქებიდან შემოჰქონდათ. წელს ქარხნის კოლექტივს დაევალა ამ პროდუქციის წარ- [illegible]

[illegible] ლობის კოჭებს, საათ[illegible] ქო ქილებს და სხვ.

ქარხნის კოლექტ[illegible] ვალდებულება იკი[illegible] წლის ბოლომდე გ[illegible] უშვას 60.000 კვა[illegible] 12.000 [illegible]

# როცა ცოცხალ საქმეს ფორმალიზმით ცვლიან

## როგორ ზრუნავთ თქვენ სკოლისათვის?

**არავის** არ შეუძლია უარყოს, რომ პარტიის წულუკიძის რაიკომი ან კომკავშირის რაიკომი დროდადრო არ განიხილავდნენ სკოლების მუშაობის საკითხებს.

სასწავლო წელი დამთავრდა თუ არა, მიმდინარე წლის 29 ივნისს კომკავშირის რაიკომმა სასწრაფოდ შეაჯამა „რაიონის სასკოლო კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობა მაღალი აკადემიური წარმატების საქმეში“, მეორე დღეს — 30 ივნისს კი პარტიის რაიკომის ბიუროზე განიხილეს წულუკიძის სკოლა-ინტერნატის პირველადი პარტიული ორგანიზაციის ბიუროს მდივნის ანგარიში.

მაინცდამაინც სახარბიელო სურათი ვერ გადამალა ამ საკითხების განხილვამ... როგორც კომკავშირის რაიკომის ბიურომ აღნიშნა: „სასწავლო წლის დამთავრებისას აღმოჩნდა (!?), რომ სასკოლო კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობა კომკავშირელთა მაღალი აკადემიური წარმატების საქმეში სუსტია. სკოლების უმრავლესობაში კომკავშირელთა აკადემიური წარმატება დაბალია“. უკეთესი მდგომარეობა არც სკოლა-ინტერნატში აღმოჩნდა — 149 აღსაზრდელიდან აქ სწავლაში ჩამორჩებოდა 14.

ბუნებრივია, ყველაფერ ამას უნდა აელელვებინა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების, აგრეთვე სკოლა-ინტერნატების კომკავშირული ორგანიზაციები, მათი მდივნები. მაგრამ საქმე ის არის, რომ კომკავშირის რაიკომის ბიუროს ხსენებულ სხდომას სასკოლო კომკავშირული ორგანიზაციების მხოლოდ სამიოდე მდივანი დაესწრო. თავის მხრივ პარტიის რაიკომმაც სკოლა-ინტერნატის კომკავშირული ორგანიზაციის როლის შეუფასებლობა გამოიჩინა. რაკი პარტბიუროს მდივნის ანგარიში მოისმინა, კომკავშირული ორგანიზაციის არსებობა, მისდამი პარტიული ხელმძღვანელობა არც კი გაიხსენა და საერთოდ ამ საკითხებზე, იმაზე, რომ სწავლებაში ჩამორჩენილ აღსაზრდელთა შორის პირველ რიგში ინტერნატის კომკავშირული ორგანიზაცია უნდა მუშაობდეს, არაფერი უთქვამთ.

ეს გამონაკლისი როდია. ჩვეულებრივად ხდება ასე — სხდომებზე, თათბირებზე ან კრებებზე, სადაც სკოლების დირექტორებს, სასწავლო ნაწილის გამგეებს, სასკოლო პარტორგანიზაციების მდივნებს ან, ვთქვათ, სკოლის სამეფო ორგანიზაციების წარმომადგენლებს, მოსწავლეთა მშობლებს იწვევენ, არავის აგონდება სასკოლო კომკავშირული და პიონერული ორგანიზაციები, მათი ხელმძღვანელები, თუმცა ხომ ფაქტია, რომ სწორედ ეს ორგანიზაციები წარმოადგენენ ჩვენი სკოლის სულსა და გულს, დგანან ყველაზე ახლოს ბავშვებთან, მოსწავლე ახალგაზრდობასთან.

პარტიის რაიკომს რატომღაც მხედველობიდან გამორჩა არა მარტო სასკოლო კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობის, აგრეთვე ამ ორგანიზაციებისადმი პარტიული ხელმძღვანელობისა და დახმარების საკითხები. კომკავშირის რაიკომის ბიუროზე კი ერთხელაც არ განუხილავთ სკოლის კომკავშირული კომიტეტის ანგარიში. ამით აიხსნება, რომ სასკოლო კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობაში დიდი ხარვეზები და შეცდომებია.

მიმდინარე სასწავლო წლის პირველი მეოთხედის შედეგების შეჯამებისას გამოირკვა, რომ სოფელ გუბის საშუალო სკოლის მეათე კლასში მოსწავლეთა 30 პროცენტი აკადემიურად ჩამორჩება. ასეთივე მდგომარეობაა ამ სკოლის მერვე კლასში. ეს დამაფიქრებელი სურათი ცნობილია სკოლის დირექტორისათვის, პედაგოგიური კოლექტივისათვის, პირველადი პარტიული ორგანიზაციისათვის, რომელიც 11 კომუნისტს აერთიანებს. მაგრამ კიდევ უფრო დამაფიქრებელი ის არის, რომ როცა პარტიულმა ორგანიზაციამ სკოლის კომკავშირული ორგანიზაციის მუშაობის საკითხი განიხილა, კრებაზე სიტყვით მარტოოდენ კომკავშირული კომიტეტის მდივანი, მოსწავლე მ. ბერაძე და მასწავლებელი ნ. ბოლქვაძე გამოვიდნენ, ხოლო თავიანთი აზრი არ გამოუთქვამს არც სკოლის დირექტორს ა. ჩხენკელს და არც პარტორგანიზაციის მდივანს გ. შავლაყაძეს. თუმცა გუბის საშუალო სკოლა საწარმოო სწავლებაზეა გადასული, დღემდე სასკოლო პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციები ერთხელაც არ დაინტერესებულან მოსწავლეთა საწარმოო სწავლების საკითხებით.

წულუკიძის პირველი საშუალო სკოლა ყველაზე ახლოს არის პარტიისა და კომკავშირის რაიკომებთან, მაგრამ საქმეს ვერც ამან უშველა. კომკავშირელთა ნაწილი აკადემიურად ჩამორჩება, ხუთებზე მარტო ერთი, თვით კომკავშირის კომიტეტის მდივანი, მეცხრეკლასელი გ. ესებუა სწავლობს. კარგია, რომ კომკავშირულმა ორგანიზაციამ როგორც გასულ, ისე მიმდინარე სასწავლო წელს განიხილა მოსწავლეთა თვითმომსახურების საკითხი. მაგრამ სავალალო ის არის, რომ ორივე შემთხვევაში გვერდი აუარეს კონკრეტულ ფაქტებს, ამ მხრივ თვით სკოლაში არსებულ მდგომარეობას.

სამაგიეროდ, კუხის საშუალო სკოლის კომკავშირელებმა და ახალგაზრდობამ დაწყებული საქმე ბოლომდე მიიყვანეს. მიმდინარე წელს ამ სკოლის საწარმოო ბრიგადებმა ნაკისრი 30-ის ნაცვლად 39 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი მოკრიფეს, 150 გრამი მურიდან სახელმწიფოს სამასის ნაცვლად 650 კილოგრამი აბრეშუმის პარკი ჩააბარეს, ნაკისრი 20 ცენტნერის ნაცვლად 15 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 34,5 ცენტნერი სიმინდი მიიღეს.

ამით კიდევ უფრო მკაფიოდ ჩანს, რომ რაიონის სკოლები ბავშვთა შრომითი აღზრდის დარგში გაცილებით მეტს გააკეთებდნენ, კუხის საშუალო სკოლის შესანიშნავი გამოცდილება ფართოდ რომ გადმოეღოთ.

ყველაფერი ეს იმიტომ ხდება, რომ პარტიის წულუკიძის რაიკომი იჩენს სასკოლო კომკავშირული და პიონერული ორგანიზაციების საქმიანობის შეუფასებლობას, ღრმად არ სწვდება ახალ ეტაპზე საბჭოთა სკოლის მუშაობის ამ უმნიშვნელოვანეს რგოლს.

ცხოვრებასთან სკოლის კავშირის შემდგომი განმტკიცებისათვის პარტიის მიერ დასახული ამოცანა სასკოლო კომკავშირული და პიონერული ორგანიზაციების როლისა და ავტორიტეტის, მათი ბრძოლისუნარიანობის გადაჭრით ამაღლებას მოითხოვს.

**შ. ჯავახაძე,**
„კომუნისტის“ საქ. კორ.

# წერილები რედაქციას

## „კომუნისტის“ საგუშაგოები გვატყობინებენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

## გაჭიანურებული მშენებლობა

**1956 წლის** ზაფხულში საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 6 ტრესტმა დაიწყო სოხუმის ტყავის ქარხნის მშენებლობა.

საგეგმო გაანგარიშებით აღნიშნული ქარხნის მშენებლობა უნდა დამთავრებულიყო მიმდინარე წლის პირველ ნახევარში. საამისოდ მშენებლებს ყველაფერი ჰქონდათ (სათანადო თანხები, საშენი მასალა და სხვა), მაგრამ ტრესტმა რატომღაც მუშაობა მეტად ნელი ტემპით წარმართა.

ამჟამად ასეთი ვითარებაა შექმნილი: სოხუმის ტყავფეხსაცმლის კომბინატმა ახალ ქარხანაში დასამონტაჟებელი მანქანა-დანადგარები ჯერ კიდევ გასულ წელს და მიმდინარე წლის დასაწყისში მიიღო. ეს ძვირფასი მანქანები ახლაც ღია ცის ქვეშ აწყვია და მათი თავის ადგილზე გადატანა არ ხერხდება, რადგან საქარხნო კორპუსი მზად არ არის. ამას გარდა, წინათ არსებული საამქროები წელიწადში 18 მილიონ კვადრატულ დეციმეტრ ტყავს უშვებდნენ. (1961 წლისათვის გეგმა ითვალისწინებს 27 მილიონი კვადრატული დეციმეტრი ტყავის გამოშვებას).

საქმე ის არის, რომ თუ მკვეთრად არ დაჩქარდა ახალი ქარხნის მშენებლობა, კომბინატში ტყავის გამოშვების გეგმა 1961 წელს ჩაშლის საფრთხის წინაშე დადგება.

საინტერესოა, რას ფიქრობენ ამ საკითხზე № 6 სამშენებლო ტრესტის (მმართველი ნ. კემულარია) მუშაკები?

**გაზეთ „კომუნისტის“ საგუშაგო სოხუმის ტყავ-ფეხსაცმლის კომბინატში:**

**ვ. ნადირაშვილი,**
კომბინატის მთავარი ინჟინერი,
**მ. შაუთიძე,**
მუშა, აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი,
**ბ. ჯალაღანია,**
მუშა, სოხუმის საქალაქო საბჭოს დეპუტატი,
**ვ. კილასონია,**
კონტროლიორი.

## რომ მავთული გვქონდეს...

**ჩვენი** საბჭოთა მეურნეობის კოლექტივმა ას ჰექტარზე გაშენებული ორწლიანი ვენახი შპალერზე გადაიყვანა და სანიმუშოდ დაამუშავა. ორი წლის შემდეგ ვაზმა „მხარ-ბეჭი“ დაიმშვენა, რქაცერის სიმსხო გაუხდა, ყურძენი დაისხა. მეურნეობის სალაროს ასი ათასი მანეთი შემატა. სამწლიანმა ვენახმა კი მოლოდინს გადააჭარბა — რვაასი ცენტნერი ყურძენი დავკრიფეთ.

ეს კარგია. მაგრამ ცუდია ის, რომ 285 ჰექტარზე გაშენებული ახალგაზრდა ვენახი ჯერ კიდევ შპალერზე გადაყვანილი არ არის.

რატომ?

ამ კითხვას ადვილად შეიძლება უპასუხო: იმიტომ, რომ ჩვენთვის საჭირო 170 ტონა მავთულიდან ექვს ტონაზე მეტი არ მიგვიღია.

— „ჯერ არ არის, მალე იქნება“ — ასე გვიპასუხებენ. მავთული და საყრდენი მასალა რომ იყოს, მომავალ წელს მეურნეობა დამატებით სულ ცოტა ათას ცენტნერ ყურძენს მიიღებს.

ნუთუ დრო არ არის დაგვეხმაროს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭო?

**ვ. ქინქლაძე, ა. წოწკოლაური,**
**შ. ბაიაშვილი,**
ახმეტის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის ბრიგადირები.

## აი, რატომ გვიწუნებენ ნახელავს

**ჩვენი** ქვეყნის რომელ მაღაზიაში არ ნახავთ გასაყიდად გორში დამზადებულ ქსოვილებს. მომხმარებელს მოსწონს გორული საკაბე ქსოვილი: პიკე, მაია, ბამბაზია, ჩითი; მყიდველები მეტი რაოდენობით მოითხოვენ მადაპოლამს, სატინს, მაგრამ დასამალავი არ არის, რომ ზოგჯერ გორული ქსოვილი გამოდის უხარისხო, აკლია სინაზე, მიმზიდველობა.

რატომ? ფაბრიკებში ჯერ კიდევ მინიმუმამდე არ არის შემცირებული წუნი. ეს განსაკუთრებით ითქმის გამომყვან ფაბრიკაზე. მისი არსებობის ექვსი წლის მანძილზე ამ ფაბრიკის ექვსი გამგე შეიცვალა. ცალკეულ საამქროებს ისეთი ადამიანები ხელმძღვანელობენ, რომლებსაც საკმაო გამოცდილება არა აქვთ. ამიტომ ფაბრიკაში ადგილი აქვს ტექნოლოგიური რეჟიმის დარღვევის შემთხვევებს, რაც იწვევს პროდუქციის დაგვიანებით და უხარისხოდ გამოშვებას. ამას წინათ ცვლის ქიმიკოსმა ტ. ბარამკოვამ დაუდევრობა გამოიჩინა, დაირღვა მჟავის კონცენტრაცია, რამაც დასცა ქსოვილის ხარისხი.

მიმდინარე წლის ათ თვეში დაბალ ხარისხში გადაყვანილია მთელი გაგზავნილი პროდუქციის 1,19 პროცენტი, ანუ 474 ათასი მეტრი. ეს საყურადღებო ფაქტია. ქსოვილის ხარისხის ამაღლების საქმეში ბევრი ხელისშემშლელი მიზეზი გვაქვს. საჩითავ მანქანებს არა აქვთ დაყენებული კირზის სარეცხი და საშრობი მოწყობილობა. ეს ცუდ გავლენას ახდენს მოჩითვის ხარისხზე. კომბინატის დირექციამ ამ მოწყობილობის მისაღებად არაერთი განაცხადი გაუგზავნა რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის საბჭოს საფეიქრო სამმართველოს, მაგრამ მის მიღებას არ დაადგა საშველი.

როგორც წესი, ქსოვილი შეღებვა-დაჩითვამდე გაივლის ეგრეთწოდებულ სატრუსავ მანქანაში ღინღლების გატრუსვის მიზნით. მაგრამ ეს მანქანა მეტად მოძველებულია. ესეც გვიშლის ხელს ღებვისა და დაჩითვის ხარისხის ამაღლებაში.

გამომყვან ფაბრიკას არა აქვს საღებავების საწყობი. საღებავები ღია ცის ქვეშ ყრია და კარგავს ხარისხს. სპეციალური უმაღლესი განათლების მქონე ქიმიკოსები არა გვყავს საჭირო რაოდენობით, ესეც დიდად გვიშლის ხელს. ხშირად უზრუნველყოფილი არა ვართ ქსოვილის შესაფუთავი ქაღალდითა და მუყაოთი.

ბოლოს ერთი საკითხი. შეფერხებებით ვიღებთ ხამ ქსოვილს. ამით ირღვევა ფაბრიკის მუშაობის რიტმი, ადგილი აქვს იერიშობანას. მაგალითად, მიმდინარე წლის ათ თვეში ქუთაისის აბრეშუმის კომბინატმა გამოგვზავნა დაგეგმილზე 280 ათასი მეტრით ნაკლები ხამი ქსოვილი.

ამ ნაკლოვანებათა დროულად აღმოფხვრა ხელს შეგვიწყობს ავამაღლოთ გორული ქსოვილის ხარისხი.

**გაზეთ „კომუნისტის“ საგუშაგო გორის ბამბეულის კომბინატში:**

**ა. აბაშიშვილი,**
ბამბეულის კომბინატის გამომყვანი ფაბრიკის პარტბიუროს მდივანი.
**ი. იარდალაშვილი,**
გამომყვანი ფაბრიკის საჩითავი საამქროს უფროსი.
**ვ. ჩალაური,**
გამომყვანი ფაბრიკის საგეგმო განყოფილების უფროსი.

# „კომუნისტის“ სიგნალის შემდეგ

## „არა, ამას მომხმარებელი არ ჩაიცვამს“

**გაზეთ** „კომუნისტის“ 16 ნოემბრის ნომერში დაბეჭდილ წერილში „არა, ამას მომხმარებელი არ ჩაიცვამს“ ლაპარაკი იყო ფართო მოხმარების საქონლის დაბალ ხარისხზე და სავაჭრო ორგანიზაციების მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებებზე.

ამ წერილის გამო საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრი მ. ღვინჯილია გვატყობინებს:

**წერილში მოყვანილი ფაქტები სინამდვილეს შეეფერება.** ყოფილი სარეწაო საბჭოს საწარმოები დიდი რაოდენობით უშვებდნენ დაბალი ხარისხის ტრიკოტაჟს, ფეხსაცმელს, ქსოვილებს და სხვა საქონელს. მაღაზიები საწარმოებისაგან საქონელს თითქმის სრულიად უკონტროლოდ იღებდნენ და ახდენდნენ მის რეალიზაციას. ეს იწვევდა მომხმარებელთა სავსებით სამართლიან უკმაყოფილებას. მდგომარეობის გამოსასწორებლად საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრომ აკრძალა ზოგიერთი სახის სამრეწველო საქონლის, მათ შორის ტრიკოტაჟის ნაწარმის უშუალოდ წარმოებიდან მიღება.

მას შემდეგ, რაც წარმოებიდან საქონლის მიღება დაევალა მშა ტანსაცმლის საბითუმო ბაზას, რომელიც მიღების დროს მკაცრ კონტროლს ახორციელებდა და ხშირად საქონელს უკან უბრუნებდა წარმოებას, ახდევინებდა ჯარიმას, მდგომარეობა შედარებით გამოსწორდა, საწარმოთა ხელმძღვანელები იძულებული არიან მეტი ყურადღება მიაქციონ გამოშვებული პროდუქციის გაფორმებასა და ხარისხს.

რაკი დადებითი შედეგი უკვე მიღწეულია, ამჟამად ვაჭრობის სამინისტრო განიხილავს იმ საკითხს, რომ ნება დართოს სავაჭრო ორგანიზაციებს უშუალოდ მიიღონ საქონელი საწარმოებისაგან.

სავაჭრო ორგანიზაციებმა ჯერ კიდევ სათანადოდ ვერ მოაგვარეს მოსახლეობის მოთხოვნილების შესწავლა. ვაჭრობის სამინისტრომ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წინაშე დააყენა საკითხი, რომ ვაჭრობის სამინისტროსთან შეიქმნას მოსახლეობის მოთხოვნილების შემსწავლელი სპეციალური ბიურო. ამჟამად ხორციელდება მთელი რიგი ღონისძიებები, რომლებიც უზრუნველყოფენ სავაჭრო ორგანიზაციებში მოსახლეობის მოთხოვნილების შესწავლას.

სავაჭრო ქსელში ელექტრონათურების, ელექტროუთოს, იატაკის ელექტროსაპრიალებლის და ზოგიერთი სხვა საოჯახო ნივთების ნაკლებობა იმით აიხსნება, რომ საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭომ და ადგილობრივი მეურნეობის სამინისტრომ ჯერ კიდევ ვერ გაზარდეს ფართო მოხმარების საქონლის წარმოება იმდენად, რომ იგი საკმარისი იყოს მოსახლეობის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. ხშირად კი გეგმასაც ვერ ასრულებენ.

რესპუბლიკის გარედან აღნიშნული ნივთები შემოგვაქვს ჩვენთვის მოცემული ფონდის ფარგლებში. მაგრამ ესეც ვერ აკმაყოფილებს გაზრდილ მოთხოვნილებას.

ფართო მოხმარების საქონლით 1961 წელს რესპუბლიკის მოსახლეობის მომარაგების გაუმჯობესების მიზნით საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს უკვე წარდგენილი აქვს სათანადო განაცხადი და იღებს ზომებს იმისათვის, რომ რაც შეიძლება გაიზარდოს იმ სახეობათა საქონლის ფონდები, რომლებზეც მოსახლეობის მოთხოვნილება ჯერ კიდევ მთლიანად ვერ არის დაკმაყოფილებული.

## წერილი არ დაბეჭდილა, მაგრამ...

### კოლმეურნეთა სწორი განაჩენი

**ხობის** რაიონიდან სოფლკორი გვწერდა სოფელ ძველი ხიბულის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის მუშაობაში არსებული ნაკლოვანებების შესახებ. წერილი შესამოწმებლად და ზომების მისაღებად გადაეგზავნა პარტიის ხობის რაიკომს.

პარტიის ხობის რაიკომის მდივანი ამხ. ა. წურწუმია რედაქციას ატყობინებს: წერილში მოყვანილი ფაქტები დადასტურდა. რაიკომის ბიურომ იმსჯელა სოფელ ძველი ხიბულის ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში შექმნილი მდგომარეობის შესახებ. გამოირკვა, რომ კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარეს ბ. კიტიას და მის მოადგილეს, იმავე პარტბიუროს მდივან დ. ლაშხიას შორის ადგილი ჰქონდა არაკოლეგიალურ დამოკიდებულება კოლმეურნეთა შორის დაკარგეს ავტორიტეტი. ყოველივე ამის შედეგად კოლმეურნეობისადმი ხელმძღვანელობა შესუსტდა.

რაიკომის ბიურომ პარტიული სასჯელი დაადო კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ბ. კიტიას და თავმჯდომარის მოადგილეს დ. ლაშხიას. კოლმეურნეთა საერთო კრებამ ისინი მოხსნა თანამდებობიდან.

# ორი სამყარო, ორი პრობლემა

## გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის სესიაზე

ნიუ-იორკი. 29 ნოემბერი. (საქდესის კორესპონდენტები ვ. ბოგაჩოვი და ვ. ოზეროვი იუწყებიან: გენერალური ასამბლეა კვლავ განიხილავს დეკლარაციას კოლონიური ქვეყნებისა და ხალხებისათვის დამოუკიდებლობის მინიჭების შესახებ.

ლევანდელი დილის პლენარული სხდომა დაიწყო არგენტინის წარმომადგენლის ამადეოს გამოსვლით. კამათი კოლონიური საკითხის გამო, განაცხადა მან, შემთხვევითი როდია. კამათი გამოხატავს რეალურ მდგომარეობას. მაგრამ არგენტინის დელეგატი არ გასცილებია ამ დეკლარაციულ განცხადებებს. იგი უხეიროდ იცავდა კოლონიურ სახელმწიფოებს და ქებაც კი შეასხა ბრიტანეთისა და საფრანგეთის „წვლილს“ დამონებულ ხალხთა „პროგრესში“.

როლის შესახებ, თუ ისინი თავიანთ მხრივ დათანხმდებიან საყოველთაო და სრული განიარაღების განხორციელებაზე, ამერიკის პრესამ ამჯობინა ხმა არ ამოეღო ამის შესახებ.

მაგრამ, თუ ეს დიდმნიშვნელოვანი განცხადება არ გახდა ამერიკის შეერთებული შტატების საზოგადოებრიობის საკუთრება, გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში მან ფართოდ გაითქვა სახელი. საბჭოთა დელეგაციის მეთაურის ვ. ა. ზორინის თხოვნით სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვის პასუხი გაზეთ „პრავდის“ რედაქციის კითხვებზე გამოიცა და გავრცელდა როგორც ოფიციალური დოკუმენტი სესიისა და კერძოდ, პოლიტიკური კომიტეტისა, რომელშიც განიხილავენ განიარაღების საკითხებს.

კომიტეტის გუშინდელ სხდომაზე პირველი გამოვიდა იუგოსლავიის წარმომადგენელი ვიდიჩი. მან მხარი დაუჭირა 12 სახელმწიფოს რეზოლუციის პროექტს, რომლის ერთ-ერთი თანაავტორია მისი

...

დის შეწყვეტის საკითხის პრაქტიკული გადაჭრისათვის, ეს საკითხი ჯერ კიდევ გადაუჭრელია, და ამის მიზეზი ის არის, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს არ სურთ სამუდამოდ შეწყდეს ასეთი გამოცდა.

მოიგონა რა ჟენევის მოლაპარაკების მიმდინარეობა, სსრ კავშირის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ფაქტები დამაჯერებლად მოწმობენ იმას, რომ საბჭოთა კავშირი ხმარობს ყოველ ღონისძიებას, რაც მასზეა დამოკიდებული, იმისათვის, რომ რაც შეიძლება მალე გადაიჭრას ატომური იარაღის ყოველგვარი გამოცდის შეწყვეტის საკითხი, ხოლო ამერიკის შეერთებული შტატები დიდი ბრიტანეთის მხარდაჭერით ამუხრუჭებენ მოლაპარაკებას და საქმე მიჰყავთ მის ჩაშლამდე, რათა განაახლონ გამოცდა.

ვ. ა. ზორინმა განაცხადა, რომ საბჭოთა დელეგაცია ხმას მისცემს რეზოლუციის ორივე პროექტს ამ საკითხზე, რომლებიც შემოტანილია პოლიტიკური კომიტეტის განსახილველად, — ინდოეთისა და 25

...

პრაქტიკული განხორციელებისათვის. და თუ, მიუხედავად გენერალური ასამბლეის მიერ მიღებული მრავალი რეზოლუციისა, მიუხედავად საბჭოთა კავშირის, ინდოეთისა და სხვა მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოთა მტკიცე ღონისძიებებისა, რომ მიეღწიათ ატომური იარაღის გამოც-

...ლიბენ დასავლეთის სახელმწიფოები, თქვა მან, ბოლო უნდა მოეღოს.

ნიუ-იორკი, 30 ნოემბერი. (საქდესი). ლევანდელ დილის სხდომაზე პირველი გამოვიდა ეთიოპიის დელეგატი. მან მიულოცა საბჭოთა კავშირს იმ ინიცია-

...

ამიტომ შემთხვევითი არ არის, რომ, როცა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა „პრავდის“ კორესპონდენტთან ინტერვიუში განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირი მზად არის მიიღოს დასავლეთის სახელმწიფოთა წინადადებანი საერთაშორისო კონტ-

# მსოფლიო უიარაღოდ! — მოითხოვენ ხალხები

## გონი უარს ამბობს მოწყალება მისცეს ვაშინგტონს

## ლუმუმბას ადგილსამყოფელი კვლავ გაურკვეველია

# მდგომარეობა კონგოში

ნიუ-იორკი, 30 ნოემბერი. (საქდესი). როგორც იუნაიტედ პრეს ინტერნეიშნლის სააგენტოს კორესპონდენტი იუწყება, ლეოპოლდვილიდან „გაქრნენ თვალსაჩინო პოლიტიკური მოღვაწეები, რომლებიც მხარს უჭერენ პრემიერ-მინისტრ პატრის ლუმუმბას“, — კონგოს სენატის თავმჯდომარე ჟოზეფ ოკიტო, დეპუტატთა პალატის თავმჯდომარე ჟოზეფ კასონგო და ლუმუმბას მთავრობის თავდაცვის მინისტრი გენერალი მორის მპოლო. როგორც ფიქრობენ, ლეოპოლ-

მა კიკვიტის მახლობლად ავტომობილის კატასტროფის შემდეგ და იმყოფება საავადმყოფოში მცველთა მკაცრი მეთვალყურეობით. მაგრამ, როგორც იგივე სააგენტოები აღიარებენ, ეს ხმები არავის არ დაუდასტურებია. უფრო მეტიც, მობუტუს „ინფორმაციის კომისარი“ კაპელა იძულებული იყო პირადად უარეყო ხმები ლუმუმბას დაპატიმრების შესახებ.

ლუმუმბას შეუძლია ერთ-ერთ პროვინციულ ცენტრში შეაგროვოს თავისი მთავრობის წევრები და თავისი მომხრეები პარლამენტში და ამრიგად კვლავ შეუდგეს კონგოს კანონიერი პრემიერ-მინისტრის ფუნქციების აქტიურ განხორციელებას. „ასეთ შემთხვევაში, — აღნიშნავენ ამ წრეებში, — საჭირო გახდება ახალი კამათის დაწყება გაერთიანებულ

...

რა იმ რეაქციის შესახებ, რაც ლეოპოლდვილიდან ლუმუმბას გამგზავრებამ გამოიწვია, გადმოგვცემს, რომ „გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ლეოპოლდვილის მთავარ ბინაში ძლიერდება შეშფოთება იმასთან დაკავშირებით, რომ

...დაპატიმრებულ იქნა აგრეთვე იმ თვითმფრინავის პილოტი, რომლითაც ისინი ჩამოვიდნენ, ინგლისელი პატრიკ კერნი. ყველა დაპატიმრებული გაგზავნეს მობუტუელთა სამხედრო ბანაკში.




საფრთხე კარს მოგვადგა! — ეს შეშფოთებული ძახილი გაისმის ახლა შოტლანდიაში. ათასობით შოტლანდიელი გამოდის ამ დღეებში იმის წინააღმდეგ, რომ მათ მიწა-წყალზე შეიქმნას ამერიკის ბაზები ატომური წყალქვეშა ნავებისათვის, მოითხოვს, რომ ოკეანეს გაღმელი დაუპატიჟებელი სტუმრები შინ წაეთრიონ. „ყველა, ვინც ხმას მისცემს ბაზას, ხმას მისცემს კლაიდის სრულ მოსპობას, თუ ამერიკელებმა როდისმე წყალბადის ბომბი აფეთქეს“. ეს სიტყვები ეკუთვნის დუმბარტონის საგრაფოს საბჭოს წევრს ჯოზეფ კენონს. ამ საგრაფოს საბჭომ მიიღო საპროტესტო რეზოლუცია მდინარე კლაიდზე ჰოლი-ლოჰში წყალქვეშა ნავების ამერიკული ბაზის შექმნის წინააღმდეგ. ჰოლი-ლოჰი ქალაქ გლაზგოდან სულ 31 მილზეა.

სურათზე: თქვენ ხედავთ საპროტესტო მანიფესტაციას კლაიდზე ამერიკული ბაზის მშენებლობის წინააღმდეგ. ეს მანიფესტაცია ამ ცოტა ხნის წინათ გაიმართა გლაზგოში. პლაკატებს, რომლებიც დემონსტრანტებს მოაქვთ, აწერია: „პოლარისი თვითმკვლელობაა“.

# მოძალადეთა კრახი იუნესკოში

პარიზი, 29 ნოემბერი. (საქდესი). იუნესკოს გენერალური კონფერენციის ახლანდელი სესიის მსვლელობაში ბევრი ქვეყნის დელეგატები აღნიშნავენ, რომ როგორც იუნესკოს ხელმძღვანელ ორგანოებში, ისე აპარატში, რომელიც ახორციელებს ამ ორგანიზაციის პრაქტიკულ საქმიანობას, ირღვევა სამართლიანი გეოგრაფიული წარმომადგენლობის პრინციპი. მსოფლიოში არსებობს ქვეყნების სამი ჯგუფი: სოციალისტური ქვეყნები, ნეიტრალისტური ქვეყნები და დასავლეთის ბლოკების მონაწილე ქვეყნები, მაგრამ იუნესკოს პერსონალის დიდ უმრავლესობას შეადგენენ დასავლეთის სახელმწიფოთა წარმომადგენლები. ასეთი მდგომარეობა, ბუნებრივია, იმას იწვევს, რომ იუნესკოში ილახება მთელი რიგი ქვეყნების ინტერესები.

კერძოდ, პლენარულ სხდომებზე ორატორები აღნიშნავდნენ, რომ კონგოში იუნესკოს მოხელეები მოქმედებდნენ აშკარად ბელგიელთა და სხვა კოლონიზატორთა სასარგებლოდ. ამავე ფაქტორით აიხსნება უაღრესად არასაკმარისი ყურადღება აფრიკის ქვეყნების საჭიროებისადმი, ტენდენციური მიდგომა იუნესკოს მიერ გამოცემული მასალებისადმი (მაგალითად, მეცნიერებისა და კულტურის მსოფლიო ისტორიის მომზადებაში).

ამ ბოლო დროს იუნესკოს ორგანოებში სამართლიანი გეოგრაფიული წარმომადგენლობის საკითხი განიხილა ადმინისტრაციულმა კომისიამ — ერთ-ერთმა კომისიამ ახლანდელი სესიის შვიდი კომისიიდან. კამათში გამოვიდა უკრაინის სსრ დელეგატი ა. ნ. გუსკო და აღნიშნა, რომ ლაპარაკიც არ შეიძლება იუნესკოს სამდივნოს „მიუკერძოებლობაზე“, თუ მისი თანამშრომლების ნახევარზე მეტი ნატოში შემავალი ქვეყნების წარმომადგენლები არიან, ხოლო 25 პროცენტზე მეტი — სეატოში შემავალი ქვეყნების წარმომადგენლები, ამავე დროს 9 სოციალისტური ქვეყნის წილად მოდის მხოლოდ 21 თანამდებობა, ესე იგი მთელი პერსონალის მეოცედ ნაწილზე ნაკლები.

იუნესკოს სამდივნოში, განაგრძო ა. ნ. გუსკომ, სრულიად არ ჰყავთ თანამშრომლები — ალბანეთის, ბელორუსიის სსრ, რუმინეთის, უკრაინის სსრ წარმომადგენლები, ადგილი არ გამოჩნდა აგრეთვე აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის 16 ნეიტრალისტური ქვეყნის მოქალაქეებისათვის. აზიის ერთ-ერთი უდიდესი სახელმწიფოს ინდონეზიის იუნესკოში წევრობის 10 წლის მანძილზე მას მხოლოდ ერთი თანამდებობა მისცეს.

იუნესკოს ხელმძღვანელ ორგანოებში დასავლეთის სახელმწიფოთა ძალმომრეობის წინააღმდეგ გამოვიდნენ აგრეთვე ინდოეთის, ბელორუსიის სსრ, იორდანიისა და მთელი რიგი სხვა ქვეყნების დელეგატები.

იუნესკოს გენერალური დირექტორის წარმომადგენლისა და დასავლეთის ზოგიერთი ქვეყნის დელეგატების ცდების წინააღმდეგ, რომ დაეცვათ ეს მანკიერი პრაქტიკა იმ საბაბით, რომ აზიისა და აფრიკაში ჯერ კიდევ „ცოტაა კვალიფიციური კადრები“, გადაჭრით გაილაშქრეს ამ ქვეყნების დელეგატებმა.

ხმის დიდი უმრავლესობით ადმინისტრაციულმა კომისიამ მიიღო ინდოეთის რეზოლუციის პროექტი, რომელშიც ნათქვამია, რომ საჭიროა უზრუნველყოფილ იქნას იუნესკოს ხელმძღვანელობის უფრო სამართლიანი წარმომადგენლობითი შემადგენლობა. რეზოლუცია ავალებს იუნესკოს გენერალურ დირექტორს უკვე 1961 წელს მოახსენოს აღმასრულებელ საბჭოს მიღებული ღონისძიებანი.

# ღ. დადმენის აღიარება

ნიუ-იორკი, 30 ნოემბერი. (საქდესი). სენტ-ლუისის გაზეთ „პოსტ დისპეტჩის“ კორესპონდენტი რიჩარდ დადმენი, რომელმაც ამას წინათ იმოგზაურა გვატემალაში, იუწყება, რომ გვატემალის ტერიტორიაზე აღმოაჩინა აეროდრომები, რომლებსაც იყენებენ დაქირავებული აგენტების მოსამზადებლად რევოლუციურ კუბაზე თავდასხმისათვის.

...

...15 მილზე უახლოესი მოკირწყლული გზიდან“.

კორესპონდენტი აგრეთვე იუწყება, რომ სანტა-აგიტოს მოქმედი ვულკანის რაიონში მან აღმოაჩინა აეროდრომი ოთხი ახალი და ორი მშენებარე ყაზარმით.

დასასრულ დადმენი აცხადებს, რომ გვატემალის მთავრობის უხეში ცდები აღმოაჩინა „დამამტკიცებელი საბუთები“, რომლებიც ადასტურებენ იმას, რომ კუბა ურევია გვატემალის უკანასკნელ აჯანყებაში, სავსებით ჩაიფუშა.

# დოლარის აგონია

## ამერიკის პრესა ანდერსონ-დილონის მისიის ჩაფუშვის შესახებ

ნიუ-იორკი, 29 ნოემბერი. (საქდესი). ამერიკის შეერთებული შტატების ფინანსთა მინისტრი ანდერსონი და სახელმწიფო მდივნის მოადგილე დილონი გუშინ ეწვივნენ თეთრ სახლს და წარუდგინეს პრეზიდენტ ეიზენჰაუერს მოხსენება დასავლეთ ევროპის ქვეყნებში თავიანთი მოგზაურობის შედეგების შესახებ. ეიზენჰაუერთან თათბირის შემდეგ ანდერსონმა უარი თქვა გაეკეთებინა პრესისათვის რაიმე განცხადება. სამაგიეროდ ასეთი განცხადება გააკეთა თვით პრეზიდენტმა ეიზენჰაუერმა.

...

„პრეზიდენტმა ეიზენჰაუერმა ცხადყო, რომ აღარ აქვს იმედი დაარწმუნოს დასავლეთი გერმანია იკისროს ამ ქვეყანაში ამერიკის შეერთებული შტატების ჯარების შესანახი ხარჯების ნაწილი, რაც მიაჩნიათ იმის ერთ-ერთ საშუალებად, რომ შეაკავონ დოლარის გატანა შეერთებული შტატებიდან“.

ასევე ნაკლებ საიმედო დასკვნამდე მიდიან ამერიკის პრესის სხვა ორგანოები, რომლებიც ფართო კომენტარს უკეთებენ ანდერსონ-დილონის მისიის ჩა-

ფუშვას ევროპაში. ზოგიერთი გაზეთი ანდერსონსა და მთლიანად ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას ბრალს „დებს, რომ ეს მოგზაურობა ჯეროვნად არ იყო მომზადებული. მაგალი-

...

ბი „შეასუსტონ იმპორტის შეზღუდვები და გააუქმონ საექსპორტო სუბსიდიები“. მაგრამ, ყველა გაზეთის ერთსულოვანი აზრით, ნაკლებ მოსალოდნელია, რომ დასავლეთმა ევროპამ მიიღოს ეს წინადადებანი.

სახავენ აგრეთვე ბევრ სხვა წინადადებას. მაგალითად, კომპანია „მორგან გარანტი ტრასტ კომპანის“ თავმჯდომარემ ჰენრი ალექსანდერმა, სიტყვა წარმოთქვა რა 28 ნოემბერს ამერიკის ბან-

...

...ეიზენჰაუერმა გამოაცხადა ნოემბრის დამდეგს. „ამერიკულ დოლარს, რომელიც დიდ სიძნელეებს განიცდის, წერს ამასთან დაკავშირებით ჟურნალი „იუნაიტედ სტეიტს ნიუს ენდ უორლდ რიპორტი“, — ახალი სიძნელეები მოელის“, თუ სასწრაფოდ არ იქნა მიღებული რაიმე ახალი ღონისძიებანი. ამასთან ამერიკის პრესა არ მალავს, რომ წინადადებანი, რომელთა მიზანია თავიდან აცილებულ იქნეს დოლარის შემდგომი გატანა ამერიკის შეერთებული შტატებიდან და რომლებსაც ამჟამად იხილავს ამერიკის მთავრობა, ალბათ, კიდევ უფრო გააძლიერებენ უთანხმოებას დასავლეთის სახელმწიფოებს შორის.

გაზეთი „უოლ-სტრიტ ჯორნელი“ ამასთან დაკავშირებით იუწყება, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ვაჭრობის სამინისტროს მუშაკები სწავლობენ ამერიკელ ექსპორტიორებსა და იმპორტიორებზე ახალი ზეგავლენის მოხდენის გეგმას, რათა აიძულონ უკანასკნელნი საქონლის გადასაზიდად გამოიყენონ ამერიკის და არა უცხოეთის სატვირთო გემები. გაზეთი აღიარებს, რომ ასეთი ღონისძიება, თუმცა მან შეიძლება ხელი შეუწყოს შეერთებული შტატების ხარჯების შემცირებას საზღვარგარეთ, მკაცრ პროტესტებს გამოიწვევს სკანდინავიისა და სხვა ქვეყნების მხრივ, რომლებსაც დიდი სატვირთო სავაჭრო ფლოტი აქვთ.

„ჯორნელ ოფ კომერსი“, ისე როგორც ამერიკის პრესის მთელი რიგი სხვა ორგანოები, მოითხოვს, რომ შეერთებულმა შტატებმა გაადიდონ თავიანთი ექსპორტი და აიძულონ თავიანთი მოკავშირეე-

...ველი წრეები არ აპირებენ აღმოფხვრან სახელმწიფოს სავადასახდელო ბალანსის უდიდესი დეფიციტის ძირითადი მიზეზი — ამერიკის შეერთებული შტატების უდიდესი სამხედრო ხარჯები საზღვარგარეთ, გამოწვეული ცივი ომის პოლიტიკით.




გვატემალა კუბაზე თავდასხმის პლაცდარმი ხდება (გაზეთებიდან).
ვიმოქმედებთ აი ამ გეგმით.
ნახ. ა. გრუნინისა.
(საქდესის ფოტოქრონიკა).

# ერთხელ კიდევ «არა» ატომურ «დარტყმით ძალას»

პარიზი, 30 ნოემბერი. (საქდესი). დღეს საფრანგეთის სენატმა 182 ხმით 84 ხმის წინააღმდეგ მეორედ უარყო მთავრობის კანონპროექტი იმის შესახებ, რომ შეიქმნას ეგრეთწოდებული ატომური „დარტყმითი ძალა“.

კონსტიტუციის შესაბამისად კანონპროექტი მესამედ უნდა იქნეს წარდგენილი ეროვნული კრების განსახილველად და იმ შემთხვევაში, თუ პარლამენტის ეს პალატა მოიწონებს მას, კანონპროექტი მიღებულად ჩაითვლება.

# მღელვარება კარაკასში

ნიუ-იორკი, 30 ნოემბერი. (საქდესი). როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი კარაკასიდან (ვენესუელა) იუწყება, 30 ნოემბერს ადრე დილით სტუდენტებმა სროლა აუტეხეს ეროვნული გვარდიის ჯარისკაცებს.

2 დღისა და 2 ღამის განმავლობაში დროდადრო იწყებოდა სროლა. 5 დღის მანძილზე ქალაქის სხვა რაიონებში მღელვარება იყო.

ბევრი მეთვალყურეს მიაჩნია, რომ მთავრობის მდგომარეობა სულ უფრო კრიზისული ხდება.

# ლაოსის ამბები

ლონდონი, 30 ნოემბერი. (საქდესი). როგორც რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი ვიენტიანიდან იუწყება, სიტყვა წარმოთქვა რა დღეს პრეს-კონფერენციაზე, ლაოსის პრემიერ-მინისტრმა პრინცმა სუვანა ფუმამ განაცხადა, რომ მეამბოხე გენერლის ნოსავანის ჯარებმა სამი თუ ოთხი ბატალიონის შემადგენლობით გუშინ იერიში მიიტანეს ლაოსის დედაქალაქ ვიენტიანზე.

კაპიტანმა კონგ ლემ, რომელიც ამავე კონფერენციაზე გამოვიდა, განაცხადა, რომ მდინარე ნამკადინის სამხრეთით, ას მილზე ვიენტიანის აღმოსავლეთით მთავრობის ჯარებსა და მეამბოხეთა ჯარებს შორის ექვსი საათის ბრძოლის შედეგად ტანკებით, ჯავშნიანი მანქანებითა და არტილერიით აღჭურვილი მეამბოხეთა ჯარების იერიში მოგერიებულ იქნა.

# მთავრობის კომისიის ცნობა

## ჩეხოსლოვაკიაში რკინიგზის კატასტროფის შესახებ

პრაღა, 30 ნოემბერი. (საქდესი). როგორც ჩეხოსლოვაკიის დეპეშათა სააგენტო იუწყება, მთავრობის კომისიამ გამოაქვეყნა დასკვნა სადგურ სტებლოვის მახლობლად მომხდარი რკინიგზის კატასტროფის გამო. კატასტროფის მიზეზების გამოკვლევამ ცხადყო, რომ მატარებლების დაჯახება მოხდა № 608 სამგზავრო მატარებლის ორთქლმავლისა და მატარებლის ბრიგადის მიზეზით, რომელმაც უხეშად დაარღვია რკინიგზის ტრანსპორტის ძირითადი წესები.

პირები, რომლებსაც ბრალი მიუძღვით კატასტროფაში, მიცემული არიან პასუხისგებაში და სასამართლოს წინაშე წარსდგებიან.

# დასავლეთის დიპლომატიის ხრიკები

აკრა, 30 ნოემბერი. (საქდესი). ნიგერიის გაზეთები „უესტ აფრიკენ პაილოტი“ და „დეილი ექსპრესი“ ბეჭდავენ ვრცელ მასალებს ნიგერიასა და დიდ ბრიტანეთს შორის ეგრეთწოდებული თავდაცვითი ხელშეკრულების დადების შესახებ.

გაზეთებში გამოქვეყნებულია ნიგერიის სოციალისტური ჯგუფის პარტიის განცხადება, რომელშიც ნათქვამია, რომ ინგლისთან სამხედრო ხელშეკრულების დადებით ფედერალურმა მთავრობამ დაკარგა ხალხის ნდობა. განცხადებაში ხაზგასმულია, რომ ეს ხელშეკრულება „პლაცდარმია დასავლეთის დიპლომატიისათვის, რომელსაც სურს გათიშოს აფრიკის ერთიანობა, შექმნას უნდობლობა ნიგერიის ურთიერთობაში აფრიკის სხვა სახელმწიფოებთან“.

ნიგერიის სოციალისტური ჯგუფი მოითხოვს, რომ „ნიგერიის ფედერალურმა მთავრობამ დაუყოვნებლივ გააუქმოს ხელშეკრულება ინგლისთან და ამით იხსნას ნიგერიის პრესტიჟი საზღვარგარეთ“.

პარტიის პრეზიდენტმა იკენჯიანიმ ბრალად დადო მთავრობას, რომ იგი არ მოეთათბირა არც ხალხს, არც ოპოზიციას მანამდე, სანამ მიიღებდა გადაწყვეტილებას ხელშეკრულების დადების შესახებ.

ნიგერიის ახალგაზრდობის კონგრესი თავის განცხადებაში სამხედრო ხელშეკრულებას ინგლისთან ახასიათებს როგორც დარღვევას „ბლოკებთან შეუერთებლობის პრინციპისა“. ეს ხელშეკრულება ძირს უთხრის ამ პოლიტიკის აზრს, რომელსაც იწონებს მთელი ხალხი“.

## უცხოეთის სპორტული ამბები

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საკლუბო გუნდი „სფ ჰამბურგი“ ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშების მეოთხედფინალში გავიდა. გერმანელებმა ეს უფლება მოიპოვეს შვეიცარიის გუნდთან „იანგ ბოისთან“ ორ მატჩში, სადაც მათ სამი ქულა შეაგროვეს. „სფ ჰამბურგმა“ პირველი შეხვედრა მოიგო ანგარიშით 5 : 0, ხოლო მეორე ფრედ (3 : 3) დაამთავრეს.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში გრძელდება მძლეოსნური სეზონი. უკანასკნელ შეხვედრებში ამ ქვეყნის წარმომადგენლებმა აჩვენეს კარგი შედეგები, დამყარებულია ახალი რეკორდები. მაგალითად, სამმაგ ხტომაში ჩუნ სუნ-იუნმა აჩვენა 15 მეტრი და 20 სანტიმეტრი, 110 მეტრზე თარჯბენში ჯოუ ლოან-ლის შედეგი იყო 13,8 წამი. მანვე 200 მეტრი გაირბინა 23,6 წამში, რაც ახალი რეკორდია.

ტირანაში დიდი ინტერესი გამოიწვია საერთაშორისო მატჩმა ფეხბურთში ალბანეთის „დინამოსა“ და რუმინეთის საკლუბო გუნდის „პეტროლულას“ (პლოეშტი) გუნდებს შორის. ასპარეზობის შედეგია 2 : 1 რუმინელთა სასარგებლოდ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა. წერეთლის დაბადების 120 წლისთავისათვის

# ა კ ა კ ი ს მ ო გ ზ ა უ რ ო ბ ა



თბილისის აგურის მშრალი წნეხვის მექანიკური ქარხნის კერამიკული საამქროს მხატვარ-კერამიკოსმა მ. აბაშიძემ შექმნა ვაზა, რომელიც მიუძღვნა აკაკი წერეთლის დაბადების 120 წლისთავს.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

## პატარა კუთხის დიდი სტუმარი

დილის რვა საათზე ყვავილებით და მწვანით მორთული ეტლების ქარავანი ქუთაისიდან დაიძრა. ეტლებს შუა ორცხენიანი „ფილიჟანი" აკაკის ლექსების პატარა წიგნებით იყო სავსე. შიგ ლოყებღაწითლილი ქალიშვილი — თამარ ჭიჭინაძე იჯდა. იგი აკაკის ლექსებს ურიგებდა შემხვედრთ.

• • •

რაჭა-ლეჩხუმის საზღვარზე, ალპანაში, იქ, სადაც მარჯვნივ რიონის პირას გზა რაჭისაკენ მიმართება, მარცხნივ კი ლეჩხუმისაკენ, აკაკის შესახვედრად დიდი მზადება იყო; ქვემო რაჭის წარმომადგენლობა, ლეჩხუმელი ხალხი და სვანები ერთად შეკრებილიყვნენ და წუთს წუთზე ითვლიდნენ.

გზატკეცილზე იდგა მწვანითა და ყვავილებით მორთული დიდი თაღი და ზედ ეწერა: „სალამი სახელოვან მგოსანს!".

მიუახლოვდა თუ არა აკაკის ეტლი ამ ადგილს, იგრიალა ქართულმა სიმღერებმა და მგოსანი ხელში აიტაცეს... მხცოვანმა ჟურნალისტმა ქაიხოსრო გელოვანმა აკაკის საკუთარი ლექსი წაუკითხა და გულში ჩაიკრა. ნასადილევს ეტლებმა მიმართულება რაჭისაკენ აიღეს.

შებინდებისას მგზავრები ჭრებალოს მიუახლოვდნენ. მგზავრობით დაღლილ აკაკის ტკბილად ჩაეძინა. დილით კი თავს იმდენად კარგად გრძნობდა, რომ ლექციის წაკითხვა მოისურვა.

სულგანაბული უსმენდა ზღვა ხალხი აკაკის ლექციას „ვეფხისტყაოსანზე". განსაკუთრებით ჟღერდა მგოსნის სიტყვები რუსთველის გმირების დახასიათებისას. „ქართული ლიტერატურის შედევრი მსოფლიო ლიტერატურის ოქროს საუნჯეში იმით დამკვიდრდა, რომ გმირობის, მეგობრობისა და სიყვარულის იდეა უბრწყინვალესი ფერებით დახატა შოთამ," — ამბობდა აკაკი, ბოლოს ხმაწევით დაასკვნა: „ამ უკვდავმა პოეტურმა ქმნილებამ უკვდავყო ქართველი ხალხის უკვდავება". იგრიალა ტაშმა...

მგოსნის „ამალა" გზას განაგრძობდა. გამოჩნდა ხიდიკარი... წესიდან სტუმრები ნიკორწმინდისაკენ გაემართნენ. გაიარეს ფართოდ გაშლილი შორის ჭალები, მდინარე შარი, ნისლით დაბურული ნაძვნარი და ხარისთვალას ტბასთან ეტლები შეაჩერეს.

— ვმადლობ ბუნების ძალას, რომ სიკვდილამდე სამოთხის ხილვაც მაღირსა! — უთქვამს აკაკის.

გზა განაგრძეს. სოფელ ნიკორწმინდაში დავით კანდელაკის ოჯახში ჩაი დალია თუ არა, აკაკიმ ნიკორწმინდის ტაძრის დათვალიერება მოისურვა. ორი საათი დაჰყო მგოსანმა ტაძარში. სოფელ ხოტევში მიხეილ ჭიჭინაძის ოჯახში გამართულ სადილზე განაცხადა: „დავიგვიანე, უთუოდ დავიგვიანე ნიკორწმინდის ნახვა! ახლა ხომ არც თვალი მიჭრის ძველებურად და არც მუხლი მემორჩილება ასეთი დიადი ხუროთმოძღვრების სათანადოდ შესაცნობად!"

საღამოს მგზავრები სოფელ სორში მივიდნენ და ღამე იქ გაათიეს. დილით, საუზმის შემდეგ აკაკიმ დაათვალიერა IX საუკუნის ჯვარცმის ეკლესია, რომლის გალავანში ქალთა სახელსაქმო სასწავლებლის ნანგრევებია თამარისდროინდელი. მგოსანს აჩვენეს იქვე დაცული ძველად ნაქარგი გარდამოხსნა, ოლარი და ოდიკი, აგრეთვე — ვერცხლნაჭედი ჯვარი, უძველესი საუკუნის ორი ვერცხლის სურა, მუზარადი, ხელნაწერი წიგნები და ძველი ბუკი, — სიგრძით ორი არშინი, რომლითაც ხალხს მოუხმობდნენ ომიანობის დროს.

შუადღისას ეტლი ონისაკენ გაემართა. დაღმართიან ვიწრო კალაპოტში დიდ ლოდებს ეცხავდა და მიქშუოდა თეთრად ათებული რიონი.

აკაკიმ ეტლიდან გადახედა რიონს და მის წინ მჯდომ ვალიკო ბულაშვილს მიმართა:

— ფასის მთას ზემო რაჭისათვის ოძე გამოუგზავნია!

— ქუთაისს მიიჩქარის, ბატონო აკაკი, რიონი.

— მართლაც რომ მიიჩქარის და დიდი სიცოცხლეს გამოხატავს, ვიდრე მდორე წყალი, — უპასუხა აკაკიმ.

დაწინაურდა ოთხი ცხენოსანი, რომელთაც წინასწარ უნდა ეცნობებინათ ონში შეკრებილი ხალხისათვის მგოსნის მისვლა. გამოჩნდა ხელმარჯვნივ ონი და რიონზე გადასასვლელი დიდი ხიდი. ხიდის წინ აღმართული იყო დიდი თაღი და ზედ იკითხებოდა: „საკეთილდღეო იყოს თქვენი მობრძანება ჩვენში, სამშობლოს დამამშვენებელო მგოსანო!" შუაში ეკიდა აკაკის დიდი სურათი. კამარის ბოძებთან იდგა სამი ლამაზი ქალიშვილი.

მეორე დღეს ონში, დათა გოცირიძის სახლში დიდი ნადიმი გაიმართა. დავით კერესელიძემ სიტყვით მიმართა აკაკის: „თქვენი სახით, აკაკი, დღეს ჩვენს მიუვალ მთებში მზე შემობრწყინდა, რომელმაც დიადი სიხარულისა და აღმაფრენის შუქი მოჰფინა ჩვენს ხალხს. ვინ დათვლის, რამდენი გული ძგერს დიდი სიყვარულით, რამდენი სული შფოთავს უჩვეულო სიხარულით".

მეორე დღეს, 28 ივლისს, გათვალისწინებული იყო მგოსნის წაყვანა რიონის სათავესთან მდებარე მთა რაჭის სოფლებში. უწერა-გლოლა-ღებში დიდი მზადება იყო აკაკის შესახვედრად, დიდძალი ჯიხვი, ირემი და კალმახი მოემარაგებინა ხალხს. მაგრამ ავდრისაგან გაფუჭებულმა გზებმა ეს განზრახვა ჩაშალა. აკაკი გულისტკივილით აღნიშნავდა, რომ მთარაჭა მას განსაკუთრებით იზიდავდა, როგორც ძველი ლითონის საბადოების ადგილი. მოუხმო ონელ სტუდენტობას, მომავალ გამოჩენილ ქართველ მეცნიერებს — ჯანელიძეს, თვალჭრელიძეს, წულუკიძეს, ჯაფარიძეს, აგლაძეს, დვალს და ესაუბრა. მადნეულის ძიებაზე, გზების შეკეთების აუცილებლობაზე კი პირდაპირ განაცხადა:

— ხალხმა უნდა ითავოს და მაზრის უფროსი მოიხმაროს, რათა ყველა სოფელში მისვლა შეძლოს ადამიანმა!

29 ივლისს ადრიან დილით მგოსნის ეტლი ქუთაისისაკენ გაემგზავრა. ძვირფას სტუმარს თითქმის მთელი ზემო რაჭა აცილებდა.

საკმაოდ გრილოდა. ცხენოსანი ჭაბუკები მაყრულს მღეროდნენ. აკაკის კმაყოფილებისა და მადლიერების ნიშნად გულზე მარჯვენა ხელი ედო, თავი მაღლა აეწია და გამომშვიდობების ნიშნად გამცილებლებს მარცხენა ხელს უქნევდა.

**ს. ჭიჭინაძე.**

• • •



**სურათზე:** აკაკი ქვემო რაჭის, ლეჩხუმისა და სვანეთის წარმომადგენელთა შორის.

# ა კ ა კ ი დ ა ა ჭ ა რ ა

**ქვეყნის** მთლიანობა, საქართველოს ყველა მხარის გაერთიანება აკაკის ოცნება იყო. თურქეთის ბატონობისაგან აჭარის გამოხსნას იგი დიდმნიშვნელოვან საქმედ თვლიდა. თუ ჩვენ არ ვიზრუნებთ ამ დიადი საქმისათვის, მაშინ, წერდა აკაკი:

**ჭოროხი ჩვენს ძველ დიდებას**
**წაიღებს, შავ ზღვას შერთავსო,**
**თუ დაგვეკარგა ის წყალი,**
**ჩვენს „ვაის" „უის" შერთავსო!**

აკაკი წერეთელს კავკასია, საქართველო უბათუმოდ ვერ წარმოედგინა. ბათუმის დაბრუნებას და საერთოდ აჭარის შეერთებას დედა საქართველოსთან აკაკი აღფრთოვანებით შეეგება.

ამ ღირსშესანიშნავ თარიღთან დაკავშირებით, 1878 წლის 20 ნოემბერს საქართველოს მოწინავე ადამიანებმა თბილისში მოიწვიეს აჭარის წარმომადგენლები. დარბაზობაზე აკაკის უთქვამს თავის ბრწყინვალე სიტყვაში:

„დღევანდელი ლხინი... სხვაგვარია, მხიარულება უნაკლო და სიხარული უღრუბლო... ამის მიზეზია დროთა ვითარებისაგან დაშორებულის ჩვენის ძმების, რომლის წარმომადგენლებიც აქ ბრძანდებიან, დღეს ხელახლად ჩვენთან შემოერთება, დაძმურად შეკავშირება. დიახ, ბატონებო, დღეს ჩვენ შეგვიძლიან მივიდეთ ჩვენის წინაპრების საფლავებთან და ჩავძახოთ, რომ მათი ანდერძი ჯერ კიდევ არ გაგვიფუჭებია და რა იყო, ბატონებო, ეს ანდერძი... ეს ანდერძი იყო: დედაენა და ერთობა... უფრო გავძლიერდეთ, ვიცნოთ ჩვენი თავი, დავაფასოთ ჩვენი წინაპრები და თვალყური ვადევნოთ დრო და ვითარებას, საჭირო არის ვეცადოთ ჩვენი შვილების გამოზრდას, მივცეთ გზა განათლებას".

ასრულდა აკაკის ნატვრა. თავისუფალ მზიურ აჭარაში გამოიზარდნენ და იზრდებიან სასახელო შვილები. ამის ერთ-ერთ თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენს განათლების მძლავრი კერის — ბათუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის საქმიანობა, რომლის დაარსების 25 წლისთავი ზეიმით აღინიშნა მიმდინარე წლის ოქტომბერში.

1897 წლის 14 იანვარს პირველი საშუალო სკოლის დასახმარებლად გამართულ საღამოში მონაწილეობის მისაღებად ბათუმში ჩამოსულა აკაკი წერეთელი, და წაუკითხავს ლექსი „სიზმარი" („ერთხელ მხოლოდ, ისიც ძილში").

მეორედ აკაკი მოწვეული ყოფილა 1909 წელს მისი მოღვაწეობის 50 წლისთავის აღსანიშნავად გამართულ საიუბილეო საღამოზე. პოეტის პატივსაცემად დიდძალმა ხალხმა მოიყარა თავი სადგურზე.

აჭარის მშრომელებს აკაკი მიაჩნდათ მათი ინტერესების დამცველად და დიდ ქომაგად. ამიტომ იყო, რომ მგოსნის გარდაცვალებამ უდიდესი გულისტკივილი გამოიწვია უბრალო ადამიანებს შორის. მოხუცმა აჭარელმა გ. კაიკაციშვილმა აკაკის დასაფლავებაზე წარმოთქვა სიტყვა და თანამოძმეთა სახელით მწარედ დაიტირა დიდი მგოსანი:

„სამასი წლის განმავლობაში ჩვენ შევინახეთ ქართული ენა და შევიძელით, დიდო პოეტო, გაგვეგო სხივი, რომლითაც გაასისკროვნე შენ საქართველო".

ამ სიტყვაში გამოთქმული იყო აჭარის მშრომელთა ნატვრა და იმედები, რომელთაც საბჭოთა საქართველომ შეასხა ფრთები.

**ალ. ჩავლეიშვილი.**

# მ გ ო ს ნ ი ს ვ ა ზ ე ბ ი

**აკაკიმ** შორს, კლდე-კარის მაღლობზე მოხეტიალე ღრუბლებში გახვეული უძველესი ციხის ნანგრევებს მოჰკრა თვალი... მეეტლეებმა ცხენები ააჩქარეს, კამკამა მდინარე გადაჭრეს და ჭალისაკენ დაუხვიეს... მალე მთის სურნელოვანი ყვავილებით მოფენილ ორღობეებს გასცდნენ. გამოჩნდა სოფელი სადმელი.

აკაკი ღიმილით მიესალმა დამხვდურთ.

— ღმერთმა სალამი და გზა მშვიდობისა ნუ მოგიშალოს! — ერთხმად შესძახეს გლეხებმა, თავკაცებმა.

ვის არ ნახავდით აქ ჩამოსულს: წესიდან, კვაცხუთიდან, გლოლიდან, ურავიდან...

— ეს ჩემგან მიირთვით, —მოკრძალებით გაუბედა მოჯამაგირე ბიჭმა (ის ბიჭი გრიგოლ ჭელიძე იყო) რაჭის დაუვიწყარ სტუმარს, ხალხის საყვარელ მგოსანს აკაკის და ქვაფტკრის ტყეში საგულდაგულოდ დაკრეფილი ფერად-ფერადი ყვავილების კონა მიაწოდა.

—ქორის ბუდესავით შეფენია სადმელი მთას,—თქვა მგოსანმა.

— დაბლობიც კარგი გვაქვს, — შეესიტყვა ახალგაზრდა ბათლომე დვალი.

აკაკიმ თვალი მოავლო გზისპირა ბაღბოსტნებს, ვენახს, ალექსანდროულის დახუნძლულ ვაზებს...

— შესანიშნავია, — თქვა დიდმა მგოსანმა.

საპატიო სტუმარი ქვევრიდან ახლადამოღებული ტკბილი ალექსანდროულის ღვინით დალოცეს. მის მიერ მოწონებულ ვაზებს კი სადმელელებმა აკაკის ვაზი შეარქვეს.

... ოქტომბერმა შეანათა რიონის ხეობაშიც. წელში გაიმართა რაჭველი კაცი. სიცოცხლე და ბედნიერება დამკვიდრდა ყველა ოჯახში.

ყოფილი მოჯამაგირე გრიგოლ ჭელიძე დავაჟკაცდა, საკოლმეურნეო სოფლის ნიჭიერი ორგანიზატორი გახდა. ოცდათერთმეტი წელიწადია კოლმეურნეობას ხელმძღვანელობს, ხალხმა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად აირჩია.

ბათლომე დვალმა კი ოთხმოც წელს გადააბიჯა, მაგრამ სიხარულის, სიცოცხლის, სიჭაბუკის დღეებს განიცდის. ყურძნის უხვი მოსავლის ოსტატის საამაყო სახელი დაიმკვიდრა მთელ რაიონში.

მქუხარე რიონის პირას, სწორედ იმ ადგილას, სადაც ამ ორმოცდარვა წლის წინათ დიდ მგოსანს შეხვდნენ, ჭირნახულის აღების დროს ვნახე ეს ორი სახელოვანი ადამიანი, ჩვენი დროის გმირები.

— ეს ჭალა მალე ზვრების ზღვად იქცევა, — გვითხრა ბათლომე დვალმა და ალექსანდროულის, რაჭულ თეთრას ვაზებს ფესვი დაულოცა, ახალ მიწაზე დაამკვიდრა... სადმელელმა კოლმეურნეებმა წელს გეგმის გადაჭარბებით თხუთმეტ ჰექტარზე გააშენეს აკაკის საყვარელი ვაზი, რომელმაც ხვანჭკარულ ღვინოს საქვეყნოდ გაუთქვა სახელი.

— ჯერ საღ არის, 1962 წლისათვის ჩვენს ბარაქიან ფერდობებსა და ჭალებში ოთხჯერ გავზრდით ვენახის ფართობს, დაშაქრებული მტევნებით ავავსებთ მარნებს! — გვითხრა გრიგოლ ჭელიძემ და საკუჭნაოში საგულდაგულოდ შენახული, მოვერცხლილი ყანწი მოძებნა. — ამ ვაჟკაცური სასმისით, — თქვა მან, — ჩემმა გამზრდელმა აკაკის სიცოცხლე და კალამი დაულოცა. გრიგოლმა შუშხუნა მაჭრით შეავსო სამახსოვრო ყანწი და ადღეგრძელა დიდი ქართველი პოეტი, რომლის სახელი ქართული ვაზივით უკვდავია.

ხარობენ, ლაღობენ აკაკის საყვარელი ვაზები რიონის ხეობაში...

**აკ. გოცირიძე.**

# აკაკის ძეგლი უნივერსიტეტის ეზოში

1 დეკემბერს სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეზოში საზეიმოდ გაიხსნა აკაკი წერეთლის ძეგლი. აქ ათასობით ადამიანი შეიკრიბა — უნივერსიტეტის სტუდენტები, ასპირანტები, პროფესორები და მასწავლებლები, მშრომელთა კოლექტივებისა და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წარმომადგენლები.

მიტინგი გახსნა სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ე. ხარაძემ.

შეკრებილთა მქუხარე ტაშის გრიალში აკადემიკოსმა ე. ხარაძემ პოეტის ძეგლს ჩამოხსნა თეთრი საბურველი. საქართველოს სახალხო მხატვარმა, სტალინური პრემიის ლაურეატმა ვ. თოფურიძემ პოეტის სახე ბრინჯაოთი ჩამოასხა. აკაკი წერეთლის ბიუსტი დადგმულია ილია ჭავჭავაძის ძეგლის გვერდით, იმ ადამიანის მახლობლად, რომელთანაც იგი ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში ემსახურებოდა მშობელ ხალხს.

სიტყვა ეძლევა უხუცეს ქართველ მეცნიერს, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს კ. კეკელიძეს. მახსენდება, ამბობს იგი, რომ მიმდინარე საუკუნის ათიან წლებში აკაკი წერეთელმა, რომელსაც ხელში ქართულ ენაზე ახლადგამოსული მეცნიერული წიგნი ეკავა, მითხრა: რა სავალალოა, რომ ჩვენს ქვეყანაში, სადაც არის იმის შესაძლებლობა, რომ დაიწეროს და გამოიცეს ასეთი შესანიშნავი წიგნი, არ არის არც ერთი მეცნიერული დაწესებულება ან უმაღლესი სასწავლებელი. დიდი პოეტის ოცნება ასრულდა. დღეს საქართველო დაფარულია სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებათა, უმაღლეს სასწავლებელთა, სკოლების ფართო ქსელით.

სტუდენტი ახალგაზრდობის სახელით სიტყვა წარმოთქვა ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტმა ვ. ინაშვილმა. დიდი პოეტის სახე, თქვა მან, ყოველდღე მოგვაგონებს ჩვენს მოვალეობას — მთელი ჩვენი ენერგია, მთელი ჩვენი ცოდნა მოვახმაროთ სამშობლოსადმი სამსახურს. (საქინფორმ).

# აკაკის საიუბილეო დღეებში

შაბათს, 3 დეკემბერს, დღის 11 საათზე რუსთაველის სახელობის თეატრის საკონცერტო დარბაზში შედგება საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის პლენუმი, რომელსაც შესავალი სიტყვით გახსნის მწერალთა კავშირის მდივანი სერგი ჭილაია.

პლენუმზე მოსმენილ იქნება მოხსენებები: ბესარიონ ჟღენტისა — თემაზე „აკაკი წერეთლის ცხოვრება და შემოქმედება", გიორგი ლეონიძისა — „აკაკის პოეზია".

სიტყვებით გამოვლენ ქართველი მწერლები და ჩამოსული სტუმრები.

• • •

კვირას, 4 დეკემბერს, საჩხერეში გაიხსნება აკაკი წერეთლის ძეგლი, იმავე დღეს სხვიტორში შედგება საჩხერის რაიონის მშრომელთა მიტინგი სტუმრების მონაწილეობით.

3 დეკემბერს, საღამოს 10 საათსა და 30 წუთზე თბილისიდან საჩხერისაკენ გავა სპეციალური მატარებელი.

• • •

6 დეკემბერს, დღის 12 საათზე მთაწმინდის პანთეონში მოეწყობა მიტინგი. ამავე დღის საღამოს 7 საათზე ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში შედგება აკაკი წერეთლის დაბადების 120 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო.

საღამოს შესავალი სიტყვით გახსნის საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის პირველი მდივანი, აკაკი წერეთლის რესპუბლიკური საიუბილეო კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი აბაშიძე, მოხსენებას „აკაკი წერეთლის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ წაიკითხავს გიორგი ჯიბლაძე.

დასასრულ, გაიმართება დიდი კონცერტი.



**ნ**უნუ ჩიგოგიძეს პატარაობიდანვე იტაცებდა მუსიკა. განსაკუთრებით ხიბლავდა არფის მომჯადოებელი ჰანგები. მუსიკისადმი ღრმა სიყვარულმა მიიყვანა იგი თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში. მთელი გატაცებით დაეუფლა არფის დაკვრის რთულ ხელოვნებას.

ნუნუ ჩიგოგიძე ამჟამად V კურსის ფრიადოსანი სტუდენტია.

სურათზე: ნუნუ ჩიგოგიძე.

ფოტო ბ. დადვაძისა.

## დღესასწაულის აღსანიშნავად

ამ დღეებში შედგება მოსკოვისა და ლენინგრადის მოჭადრაკეთა ნაკრები კოლექტივების მატჩი 40 დაფაზე. ეს შეჯიბრება მოეწყობა მოსკოვში და მიეძღვნება სსრ კავშირის კონსტიტუციის დღეს.

საჭადრაკო მატჩი მოსკოვისა და ლენინგრადის გუნდებს შორის მესამეჯერ იმართება. პირველი ასეთი შეხვედრა მოეწყო მოსკოვში 1958 წელს და დამთავრდა ყაიმით, ხოლო მომდევნო შეჯიბრება გაიმართა ლენინგრადში და დამთავრდა მასპინძელთა სასარგებლოდ ანგარიშით 46 : 34. უნდა ვივარაუდოთ, რომ წელს მოსკოველები ეცდებიან რევანშის აღებას.

ვინ მიიღებს მონაწილეობას ამ ტრადიციულ მატჩში?

მოსკოვის გუნდს მეთაურობს მსოფლიოს ექს-ჩემპიონი გროსმაისტერი მ. ბოტვინიკი. გარდა მ. ბოტვინიკისა დედაქალაქის გუნდის შემადგენლობაში იქნებიან ვ. სმისლოვი, დ. ბრონშტეინი, ი. ავერბახი, ა. კოტოვი, ს. ფლორი, ტ. პეტროსიანი, ა. ლილიენტალი, მსოფლიოს ჩემპიონი ე. ბიკოვა და სხვ. ლენინგრადელთა რიგებში იქნებიან სსრ კავშირის ჩემპიონი ვ. კორჩნოი, ბ. სპასკი, მ. ტაიმანოვი, ი. ბონდარევსკი, ა. ტოლუში და სხვ.

## კანადელ ჰოკეისტთა მეხუთე მატჩი

**გუშინ** მოსკოვის ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონის სპორტის სასახლეში გაიმართა კანადის მოყვარულ ჰოკეისტთა საკლუბო გუნდის „ჩატემ მერუნსის" მორიგი საერთაშორისო ამხანაგური მატჩი. სტუმართა წინააღმდეგ თამაშობდა მოსკოვის „დინამოს" ჰოკეისტთა კოლექტივი. შეხვედრა დამთავრდა დინამოელთა გამარჯვებით 5 : 2.

## ვისა აქვს 54783 სერიის ბილეთი № 121?

**გუშინ** თბილისში დამთავრდა საქართველოს სსრ 1960 წლის მეოთხე გამოშვების ფულისა და ნივთების ლატარიის მოგებათა ტირაჟის გათამაშება.

გამოირკვა ყველა „ბედნიერი" ბილეთის ნომრები. ავტომანქანა „ვოლგა" მოიგო სერია № 54783 ბილეთმა № 121. ავტომანქანები „მოსკვიჩი" მოიგეს: № 58050 სერიის ბილეთმა № 100, № 51784 სერიის ბილეთმა № 038 და № 58499 სერიის ბილეთმა № 008. ტელევიზორი „რეკორდი" ხვდა № 56479 სერიის № 045 ბილეთს. პიანინოები: № 52574 სერიის № 124 ბილეთს, № 52356 სერიის № 239 ბილეთს; მაცივრები № 57317 სერიის № 163 ბილეთს, № 52052 სერიის № 083 ბილეთს; სარეცხი მანქანა — № 53047 სერიის № 141 ბილეთს; საკერავი მანქანა № 55695 სერიის № 228 ბილეთს. რადიოლა „ლუქსი" მოიგო № 51408 სერიის № 244 ბილეთმა; რადიომიმღები № 54682 სერიის № 160 ბილეთმა და სხვ.

5.000 მანეთი მოგება ხვდა № 53258 სერიის № 035 ბილეთს.

# კომუნისტი სპორტი

## ქალთა საჭადრაკო ჩემპიონატი

### გუშინ რიგაში

**რიგა.** 1 დეკემბერი. (სპეც. კორ.). დღეს ქალთა საჭადრაკო ჩემპიონატის მონაწილეთა ერთი ჯგუფი ისვენებდა, ხოლო ის მოჭადრაკეები, რომლებსაც მეათე ტურის შემდეგ დარჩათ გამოტოვებული და გადადებული პარტიები, ბრძოლას განაგრძობდნენ.

პირველობის გათამაშების ერთ-ერთ ლიდერს ტ. ზატულოვსკაიას ამ დღეს კიდევ ნახევარი ქულა დააკლდა. მან ტ. ფილანოვსკაიასთან უკეთეს პოზიციაში გადადებული პარტია ყაიმით დაამთავრა, ვ. კაუშილაიტემ მოუგო ა. ვიტკოვსკაიას. სამი პარტია კვლავ დაუმთავრებელი დარჩა.

გამოტოვებულ პარტიებში ე. კაკაბაძემ დაამარცხა ა. ვიტკოვსკაია, ფ. დმიტრიევამ — ა. ჩაიკოვსკაია.

ამრიგად, მე-11 ტურის წინ, რომელიც 2 დეკემბერს გაიმართება, ჩემპიონატის ლიდერები არიან ნ. გაფრინდაშვილი, ტ. ზატულოვსკაია, ვ. ბორისენკო, რომლებსაც შვიდ-შვიდი ქულა აქვთ.

მეთერთმეტე ტურში ერთმანეთს ხვდებიან ტ. ზატულოვსკაია და ნ. გაფრინდაშვილი, ხოლო ვ. ბორისენკო ისვენებს.

## „მ. ჩიგორინის თასი" სვერდლოვსკელებმა მოიპოვეს

30 ნოემბერს სარატოვში დამთავრდა „მ. ჩიგორინის თასის" გათამაშება ჭადრაკში. ამ ტრადიციულ ასპარეზობაში, რომელიც სამ წელიწადში ერთხელ იმართება, მონაწილეობა მიიღო რსფსრ 8 უძლიერესმა კოლექტივმა. თვითეული გუნდის შემადგენლობაში შედიოდა 5 მოჭადრაკე ვაჟი, 1 ქალი, 1 ჭაბუკი და ამდენივე გოგონა.

ტურნირი წარმატებით ჩაატარა და გარდამავალი ჯილდო — მ. ჩიგორინის სახელობის ვერცხლის თასი მოიპოვა სვერდლოვსკის მოჭადრაკეთა კოლექტივმა. მეორე ადგილზე გამოვიდა სარატოვის გუნდი, მესამეზე — ომსკის გუნდი.

საერთო მოწონება დაიმსახურა 13 წლის კემეროვოელი ნორჩი მოჭადრაკის შ. კისლოვას თამაშმა. მან 7 შესაძლებლიდან 5,5 ქულა შეაგროვა და პირველი ადგილი დაიკავა. აღსანიშნავია ისიც, რომ შ. კისლოვას არცერთი პარტია არ წაუგია.

## რამდენიმე სტრიქონით

△ **მოსკოვში** დაიწყო საქალაქო პირველობის გათამაშება ჭადრაკში, სადაც გამოდიან გროსმაისტერები ს. ფლორი, ა. ლილიენტალი, საერთაშორისო ოსტატი ე. ვასიუკოვი, ოსტატები ლ. შამკოვიჩი, ი. ესტრინი და სხვ. გათამაშებულია ორი ტური. კარგი სტარტი აიღეს ე. ვასიუკოვმა, ი. ზახაროვმა, ლ. შამკოვიჩმა. ჩემპიონატის ტურები ეწყობა კვირაში ორჯერ.

△ **ერევანში** ქალაქის მძლეოსანთა ასპარეზობაში წარმატებით გამოვიდა ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი უძლიერესი ბირთვის მკვრელი ვ. ოვსეპიანი. მან აჩვენა შედეგი 18 მეტრი და 88 სანტიმეტრი და სსრ კავშირის ახალი რეკორდი დაამყარა.

△ **რიგაში** დამთავრდა მაგიდის ჩოგბურთელთა ტურნირი ჩვენი ქვეყნის უძლიერეს სპორტსმენთა მონაწილეობით. ქალთა შორის უძლიერესი იყო ს. სპარსიარი (ესტონეთი), ვაჟთა შორის — ა. აკოპიანი (სომხეთი).

## ამინდი

3 და 4 დეკემბერს დასავლეთ საქართველოში მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, ალაგ-ალაგ ნალექი, ცვალებადი მიმართულების სუსტი ზომიერამდე ქარი, ტემპერატურა დაბლობ რაიონებში ღამით 2 გრადუსი ყინვა — 3 გრადუსი სითბო, დღისით 4-9 გრადუსი სითბო, მთიან რაიონებში ღამით 4-9 გრადუსი ყინვა, დღისით 0-4 გრადუსი სითბო.

აღმოსავლეთ საქართველოში — ცვალებადი მოღრუბლულობა, ალაგ-ალაგ ნალექი, უმეტესად დასავლეთ რაიონებში, დასავლეთის სუსტი, მტკვრის ხეობაში ზომიერი ძლიერამდე ქარი; ტემპერატურა დაბლობ რაიონებში ღამით 3 გრადუსი ყინვა — 2 გრადუსი სითბო, დღისით 4-9 გრადუსი სითბო, მთიან რაიონებში ღამით 6-11 გრადუსი ყინვა, დღისით 1 გრადუსი ყინვა — 4 გრადუსი სითბო.

რედაქტორი
დ. მჭედლიშვილი.

2 დეკემბერი

**თეატრები:** ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის — გედის ტბა (მე-8 აბონ. მე-3 წარმ.), რუსთაველის სახელობის — როცა ასეთი სიყვარულია, მარჯანიშვილის სახელობის — დამოკლეს მახვილი, გრიბოედოვის სახელობის — მედოლე ქალი, ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — უცნაური სტუმრები (რკინიგზელთა სახლში), სანკულტურის — იუპიტერი იცინის (აბონ. № 11), მოზარდ მაყურებელთა ქართული — დაკარგული დრო (აბონ. № 23, 6 ს.), თოჯინების ქართული — ზარმაცი კიკო (11 ს.), სიცოცხლის ყვავილი (2 ს.), კონსერვატორიის დიდი დარბაზი — ფრანს ბროუს (ბელგია) კონცერტი (როიალი), ცირკი — „გოლიათი სპილოები" კორნილოვის ხელმძღვანელობით და ბერმანის გასტროლები.

**ტელევიზია:** 19.00 — ყველაზე პატარებისათვის — „ცეროდენას ეკრანი", ნახატი ფილმი „საყვირის შემდეგ", 19.25 — მოკლემეტრაჟიანი ფილმი, 20.10 — ახალი სატელევიზიო დადგმა — „ნეფტალი ხანი" (აკაკი წერეთლის დაბადების 120 წლისთავისადმი მიძღვნილი გადაცემა), 20.50 — ახალი ამბები, 21.00 — ახალი მხატვრული ფილმი „ცხოვრების გზა".

**კინოები:** რუსთაველის სახელობის, ამირანი, ისანი, გაზაფხული — ოკლაჰომა, ოქტომბერი, პლეხანოვის სახელობის კლუბი, გორკის სახელობის კულტურის სახლი, ოფიცერთა სახლი, კიროვის სახელობის პარკი — ღრუბლის მომპოვებელნი, სპარტაკი, კოლხიდა, საქართველო (წითელი დარბაზი), ჭავჭავაძის სახელობის კლუბი (საზამთრო), დიდუბე — ჯორდი, თბილისი, კომკავშირელი, 26 კომისრის სახელობის (პირველი დარბაზი), საქართველო (მწვანე დარბაზი) — შიფრის საიდუმლოება, 26 კომისრის სახელობის (მეორე დარბაზი), თანამგზავრი — ჩრდილოეთის ცისარტყელა.

ჩვენი მისამართი და ტელეფონები:
თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის მოადგილეების — 8-63-03, 8-82-05. პასუხისმგებელი მდივნის — 8-72-80. სამდივნოსი — 8-81-65, განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების და საბჭოთა მშენებლობის — 8-81-84. მარქსისტულ-ლენინური თეორიის, მრეწველობისა და ტრანსპორტის — 8-57-61. სოფლის მეურნეობის — 8-32-46. მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების, ლიტერატურისა და ხელოვნების — 8-80-84, წერილების — 8-73-24, ინფორმაციის — 8-16-90, საილუსტრაციო — 8-20-43, მუშსოფლკორთა კაბინეტის — 8-08-67, განცხადებების მიღების — 8-64-42.

უე 05358 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", ლენინის ქ. № 14.